

ლიტერატურული განცემი

№4 (308) 4 - 17 მარტი 2022

გამოცემის ორ პერიოდი ერთხელ, პარასკევის დღი

ფასი 80 თერი

აბო იაშალაშვილი

სპარაპეტას ხალიჩა ფრაგმენტი მომავალი რომანიდან

1
ინდუსტანის ალაზანი

— ესე წახვალთ, სერ, — მეუბნება ჩაის დამსხმელი.

ხელით მიხსნის, სად მოვუხვიო, ილიმება და ოქროს კბილი მოუჩანს.

პირველად ეს „სერ“ მეტად უჩვეულოდ მომზვდა ყურში. ვგონებ, ეს ის თაღლითი ტაქსის-ტი იყო, დელის აეროპორტიდან ათას რვას რუპიადრომ მიპირებდა წამოყვანას, მერე რიქშაშ მითხრა, მერე კარისკაცმა, კიდევ, ისევ და უკვე მეტად უჩვეულო ხდებოდა. ახლა ამ ჩაის დამსხმელმა.

— ესე წახვალთ, სერ და ჰანუმანი შეგხვდებათ, — და ეს კი აღარ მიკითხავს, ეს ჰანუმანი რა არის, ძაან ისე მითხრა, რომ თითქოს უნდა მცოდნოდა და მეც ისე მივიღე, რო, აბა, რა.

მერე კი გავიგე, ამათი ღმერთი ყოფილა. მაიმუნის სახიანი ღმერთი და ამ ღმერთის ტაძარს გულისხმობდა.

ინით ხელზე დამხატავებს შუა გამოვიარე, ქუჩაში რომ ისხდნენ და გზა ისევ ამებნა და აქეთ-იქით ბევრჯერ გავედ-გამოვედი.

— ჰანუმან, — თამამად ვკითხე ლატარიის ბილეთების ქუჩაზე გამყიდველს და იმანაც ხელი გაიქნია სადღაც იქით და მეც გავუყევი და ისევ დავიკარგე.

ასეთ ქუჩებში დაკარგვა იყო დელისთან პირველი გაცნობა.

ნინო მშვიდობაძე

ღმართი თაფლისფრი თვალებით

ჩემ ღმერთის დედაჩემის თვალები აქვს —

მაისის თაფლისფრი და ფიქრიანი.

როცა უხარია, თვალები უბრნყინავს,

როცა ტკივა — ცრემლებით სავსე აქვს სულ.

ამ თვალებს ყველაზე იოლად შეუძლიათ

სულის გადამალვა შორს,

ადამიანის მზერათაგან მოფარებულ ადგილას,

რადგან ვინ, თუ არა,

ღმერთმა იცის,

როგორ გაურბიან ადამიანები სევდას...

ჩემი ღმერთის ხელები შრომისგან დალლილი ხელებია,

ბავშვობის შორეული დღეების სურნელი რომ ასდის...

იესოს ხელებს, ალბათ,

ახალმოჭრილი ხის სუნი ჰქონდათ...

როდესაც ცხოვრება ჩემ წაქცევას დააპირებს,

ჩემი ღმერთი მახსენდება და ფეხზე ვდგები,

რომ თვალებში შეხედო და ვუთხრა:

არ წავიცცევი, რადგან შენ ხარ!!!

ხის სუნი ჰქონდა იესოს ხელებს...

ხეები არასოდეს იქცევიან...

II-III

ადა ნემსაძე

სიყვარულით „ლილი“

მე-20 საუკუნის 70-80-იანი წლების ლიტერატურის სისტემური კვლევა ჯერ ისევ მომავლის საქმედ რჩება. თანაც ამ პერიოდში არამარტო ტენდენციები და სიახლეებია შესასწავლი, არამედ ზოგი დღემდე უცნობი ან ნაკლებად ცნობილი ავტორიც აღმოსაჩინია. ცოტა ხნის წინ მკითხველთა ფართო წრის სახით იყო ზაირა არსენიშვილი, თუმცა იგი, ცხადია, ერთადერთი არაა. ახლაც ერთ-ერთ თავიდან წასაკითხ და ხელახლა აღმოსაჩინ, ბევრი თვალსაზრისით საინტერესო მწერალზე მინდა, ვისაუბრო; მწერალზე, რომელიც ძალიან ცოტას წერდა, მაგრამ უაღრესად მნიშვნელოვანი სიტყვა თქვა მე-20 საუკუნის ქართულ ლიტერატურაში.

2021 წელს გამოცემლობა „ინტელექტმა“ ლეილა ბერიშვილის მოთხოვნების სრული კრებული გამოსცა — „ცაზე მთვარე მიცურავდა“. ლეილა ბერიშვილი მისი თაობის გამორჩეული სახეა, სრულიად განსხვავებული ენით, სტილით, უაღრესად შეკუმშული, დანურული და საოცრად ემოციური პროზით, რისი საუკეთესო დასტურიცა მოთხოვნა „ლილი“.

X-XI

გაგა წახუცრიშვილი

პოეზიის მეცნიერული სიმარტივე

არასდროს მეორდებოდა. ამითაც იყო განუმეორებელი. ახალ კრებულში ძველი ლექსი არასდროს შექმნდა. მიაჩინდა, რომ თითოეული ადამიანი განუმეორებელია. ბიომრავალუროვნებას, მცენარეთა ნაირგვაობას იკვლევდა და სხვაგვარად როგორ იქნებოდა.

„ნამდვილი პოზია

სალფეტქების ფურცლებზე
და პაპიროსის კოლოფებზე
იჩერება.“

ნუგზარ ზაზანაშვილის პოეზია დამკვირვებლის პოეზია, რომელიც მდიდარ პირად გამოცდილებასთან არის შეზავებული. იშვიათად მინახავს ადამიანი, ვისაც ტვინის ორივე ნახევარსფერო ჰქონდება განვითარებული — ჰუმანიტარული და ტექნიკური.

„იყო...“

რა თქმა უნდა — რაღაც იყო:
აბა, ისე როგორ წარმოიშობოდა რამე?
ალბათ იყო წინაპირობა,
ალბათ — ალბათობაც,
ხელსაყრელი მომენტიც — ალბათ...“

XI

ნონა კუპრეიშვილი

საგა საპატიო პოეზია

XII-XIII

ინტერვიუ თამარ ბართაიასთან:

„მთავარს არ გეტყვით“

XIV-XV

ლელა ლაგაზიძე

VIII

გურანდა ბერია

VIII-IX

სოფიო ლლონტი

IX

ერეკლე გოგიშვილი

XV

დასაწყისი პირველ გვერდზე

— ეს დელია, ქამა, — მეტროდან რომ ამოვდიოდი, ინდოელმა მითხრა.

აი, აეროპორტიდან რომ მეტროთი წამოვედი და ჯერ შიგ კარგად დავიძენი, რადგან უეტონი რომ ჩავაგდე და ის უკან გამომიგდო, ის მერე მეტროდან გამოსვლისას თურმე უკან უნდა ჩააბარო. ჯიბებში კი იმდენი რამ მედო, ტომ სოიერს რომ ჩაელაგბინა და ასე ვიღებდი და არ თავდებოდა. ალებასტრის ბურთები და მოკბერილი ვაშლი, ვგონებ, ცალთვალა კნუტიც, ინდოელი ჯარისკაცები კი მიცეკრდნენ, აბა, ბომბს როდის ამიტოვიდებდი. ისინი ბევრი გხვდება ყველა გადასასვლელში და მეტრის ჩასასვლელ-ამოსასვლელებში და შეუბამით თოფ-იარალი და ჩვენ, აბა, რა ვიცით ქართლ-კახეთიდან, რა დაგვინახია და ისინი კი უფრთხიან პაკისტანის მზაკვრობას და გამოგზავნილ მკვდარ თევზებს. ვიზას რომ ვიღებდი, იმის ადრიშვნაც მომინია რამდენიმე ბრეკარში, რომ მშობლები არ მყავს პაკისტანელები.

ამაზე კი ვიხალის, თუმცა აქ ხედავ, თურმე, როგორაა საქმე. ესენი რომ გაიყვნენ მაპათმა განდის დროს და მუსლიმები იქით აუგიდნენ და ინდუისტები აქეთ, მას მერეა ეს დაძაბულობა და ერთი მეორე არ მოუდიოთ თვალში.

აეროპორტშიც, რომ ჩავფრინდი, იმ გამოტანებული ვიზის ქალალდის აქ ხელახლა შევება მომინია და ვერ გაუგდებდი იმას თავს და ბოლოს. ზედ, ვგონებ, მელანში ჩაკრული ცერა თითის მიდებაც კი დამჭირდა.

ამის მერე იყო, რომ გამოვალნიერ და იმ თაღლითმა ტაქსისტმაც მომხსნა. ტკბილ-ტკბილები შემომილავა. აეროპორტიდან წამოსვლა, როგორც ეს ვაზაა და შეტროს უეტონია, ასეთი უცნაურია. ქალალდია რაღაც კიოსტში შესასები და მერე იმის ნომრით ტაქსია მოსახებინა, მა მოკლედ, დიდი არხებინა რამაა, რაც არაფრად ჩავაგდება და პირდაპირ გასასვლელს დავადევე და პინგეიოს რომ მელია დაუხვდება და დიდ ბედნიერებას პეტრება, ასე დამხვდა ეს ტაქსისტი. ღიმილი ჰქონდა და იყო სანა გახარებული. თბილისში რომ ირანელი ჩამოფრინდა და ტაქსისტმა ორას დოლარად ზღვაზე წაყვანა აღუთქვა და თბილისში ზღვაზე დატოვა ალიობზე, რაღაც ასეთი ფრენუსა თუ ჰქონდა ფიქრად. მერე იძახა, მეტროში სახიფათოა, თან ბარეთ ხარ, არ გაგირან, არ მოგტაცონ, ძანა ბანდიტური სურათი დასატა და, მეტე, ბიძაჯან, აბა, შენ იცი, მოგტრიალდი და ის კი განბილებული, რამდენი დრო დავკარგე და კლიენტიც გამეტცაო, კაი გაბრაზებული წავიდა თავის გზაზე.

მერე იყო ამ უეტონის ამბავი და როცა ამოგალაგე ყველაფერი და ყალბი ათცენტიანიც, გაჭრილ კარტოფილს შუა რომ უნდა ჩადო მთელი ლამთა და ჯორ ჰარერის შოკერილი ვაშლიც, ეს უეტონც ამოჰვა და ჯარისკაცებმაც თვალი სხვაგან წაიღეს. მე კი გამოვალნიერ აქედან და ელევატორზე და მაშინ გამომელაპარაკა ეს ახალი ინდოლი.

კაი განკეპილი ულვაში ჰქონდა.

ცეკვის მასანავლებლი ვარო.

— იცი ეს ქუჩა? აი, აქ მინდა, — ტელეფონი ამოვიდე, რომ გამოვედით და შეი ჩახატულ რუაზე ვაჩვენებ ამ ულვაშიანს.

— ესე ტელეფონი აღარ ამოილო, გამოგტაცებს ვიღაც და გაიქცევა. ეს დელია, ქმა — ამაზე მითხრა.

თან ცრდა, თან მამუნები და აბინან ქუჩაში, თან ყვითელია ჰავარია რა კი იყირე, ნისლია.

— აქეთ არაა, იქითაა, ეხლა მეუეტესად ვიცი დელი, თუ — შენ, — მითხრა კი იდევა ერთმა რომ გადიდები.

— ნითელ ფორმაში არ გირჩება, — ეს დელის იცი რიტუალი და გამოვიდები.

— შენ ფორმილად იყავი ახა, ქმობილო, მე კაი, აქ გმუშაობ, ვინმე აგარა არ გეგონო, — რაღაც აუკანება და მაშინ მანიც მანიც მანიც.

— რა ხდება? — თან ხახულები არ გირჩება, კოლეგის კოლეგის მანიც მანიც მანიც.

— რატო? — იმ უბანში ბევრი მუსულმანი ცხოვრობს და დელი იყ გამოსვლას აპირებენ. იცი, რა ხდება? — თან ხელის გულზე თუ თუნს სრესს.

— რადაც კანონმა გააბრაზა ინდოელი მუსლიმები.

— შენ რომ დაგინახავენ, უცხოელს, ამ



აბო იაშალაშვილი

სპარაპეტას ხალიჩა

ფრაგმენტი მომავალი რომანიდან

ვიღაც ინდოელი. ნაბიჯს გადავდგამ, ისიც გადმოდგამის. გაიხედავს, გამოიხედავს, მომყვება ჯერელი, თან არ იმჩნევს. ეხლა ჯიბგირს ვერ ვიცნობ? ან იქნებ სულაც ყელი უნდა გამომჭრას, როგორც ვაჭარ ავებდას „ოთხთა ნიშანში“. დაიცა, გავიხევნო — ჯონათან სმოლი, მოპარე სინგაზა, აბდულა ხანი... დოსტ აკარა. ამათ მოკლეს ვაჭრია აპმედი აგრის ფორტში და მისი განძი გაიტაცეს. მერე ხომ მთელი ამბებია, „პონდიშერ ლოჯი“ და ლონდონში მოხეტალი ცალფეხს კატორლელი და ტემ-მანი ჩაყრილი ინდური განბირი. რვა წლის რომ ხან და შერლოკ ჰოლმსს გაიცნობ და შუა ლონდონში ინდოეთს ალმოაჩენ, ეს მთელი ცხოვრება მოყვება.

ეხლა ეს? — ისევ ხელის გულზე სრესს, სრესს, სრესს და მერე კბილებში იზილავს.

ეხლა თუთუნი იყო თუ რამ სხვა, არ ვიცი, თუმცა არც სხვა რამ საბოლებელს ერიდებიან და ერთმა ჭარმაგმა რიქშამ იქვე, სადგომზე, გამოაჩინა თითის ყალიონი, მოკლე, შეი დაფარებილი ჩაყარა და გააბოლა, შერეც აიყოლია.

ესენი კი დგანან.

თავისი წესები აქვთ. ვინ როდის გავა.

ელიავას დაღმართში მარშუტები ჩერ-დებოდა და ერთი ტაბი იყო ამის დროს კამანდირი, ვინ როდის გაეშვა, არ გაეშვა. „ყურმას“ ეძახდენ. წითელი სახე ჰქონდა. ერთხელ მოთვალმდა:

— ეს, დღეს პირი დავიბანე.

— მერე?

— რაღა მერე, დღეს არ შეიძლება, ნათლისებადა.

ხელში საათი ეჭირა და მოსულ მარშუტებას აჩვენებდა ხუთი წუთი დაგრჩა, ორი წუთი და მისთანებს, მარალარს რომიცემდა და ერთი მძლოლი და ეტყობდა — ჱა, წუთი შემინახე, ისიც მიამატებდა თავის შოტების. წუთით გვიან გაუშვებდა.

გზად რომ მეტი მუშტარი აეკრიფა.

რაღაც ასეთი ბირჟაა აქაც.

ოლონდა აქ თრიას წევენ.

ვერ დამიყოლიეს წითელ ფორტში არნასვლაზე და სხვა რა გზა იყო.

— ჩაჯვექ.

თან ამ ჩემმა ტუკ-ტუკ რიქშამ ის კბილებში შეზელილი გადმოაფურთხა და მერეც არ ერიდებოდა და ქუჩაში ბევრი იქცევა ასე. დონის დაბაბაისლად, სუბირობს, შეიძლება, სულაც ბაბინდრანათ თაგორზე და უცეს, პყლურჭებ! გააფურთხებს დაუკრიდებლად.

გზად რომ მეტი მუშტარი აეკრიფა.

რაღაც ასეთი ბირჟაა აქაც.

ოლონდა აქ თრიას წევენ.

ვერ დამიყოლიეს წითელ ფორტში არნასვლაზე და სხვა რა გზა იყო.

— ჩაჯვექ.

თან ამ ჩემმა ტუკ-ტუკ რიქშამ ის კბილებში შეზელილი გადმოაფურთხა და მერეც არ ერიდებოდა და ქუჩაში ბევრი იქცევა ასე. დონის დაბაბაისლად, სუბირობს, შეიძლება, სულაც ბაბინდრანათ თაგორზე და უცეს, პყლურჭებ! გააფურთხებს დაუკრიდებლად.

რიქშას არ აედღა შეი და გამოვიდები ლონდონში და ზოგი სპილოს იერისა, ზოგი — მაიმუნის, ზოგი ვინ იყო და ზოგი — ვინ.

ჩემ მარშუტების მდლოლებს რომ უყვართ ხატების დაგიდება, ასევა ამათი ამბავიც. ინდუიზმის ღვთავები უკიდიათ, ზოგს აბარები რინგებინი ბარაქა მოაქვს, ზოგს — ნარმატება, ზოგს — ხეირი და ჯანი. არ მგონია, ჩვენ მდლოლებს დაცემული ბუნების განსაკურნებლად ჰქონდეთ ნიმინდა ნიკოლოზი და ნიმინდა გიორგის გიორგი გამოკრული, შეირისა და ბოროტი გულისისტმისაგან თავის დასალევევად, ამულეტებად მიუწებები ათ უკეთესი ცხოვრებისას და გამოვიდები ლონდონში და გამოვიდები.

ამათ ბირჟას მივადები ჰქინის ბოლოში.

დიდად არ ეხალისათ წითელ ფორტში ნასვლა.

ახლოს იყო და ბევრი ვერაფერი.

— წითელ ფორტში? არ გირჩევ იქ



ნინო მშვიდობაძე

ორჯერ დაკვიცებული ქალის გალაზა

დიდი ხნის წინ იყო...
ოღონდ ის კი არა,
საკუთარი ოცნება უფრო მიყვარდა,
ანუ ვინც მე გამოვიგონე,
და მიყვარდა მხოლოდ ისე,
როგორც შეუძლია უყვარდეს მეოცნებე ქალს
— თავდავისის მეტყველებით...
ოდესმე გყვარებითა იმგვარად,
რომ გინატრიათ სიკვდილი?

თუ არა, ესე იგი, თქვენ არ იცით, რა სიყვარული...
მე ვინაზრე...
რადგან შემცირდა...
ჰოდა, ჩავთვალე, რომ სიყვარული მომიკვდა
და პირველად მაშინ დავქვრივდი...
არ იყო ძნელი გარდაცვლილი ტრფობის ქვრივობა...

*

მე ვისვენებდი აღმართებზე და ყოველ ჯერზე
ყვავილებივით მეზრდებოდა სულში ტკივილი.
ვადგამდი ნაბიჯს და ვტოვებდი მინას თითქოსდა.
მავრნყდებოდა, რომ არ მაქვს ფრთები,
რომ სხეული უფრო მძიმეა,
რომ მინდა, მაგრამ ვერ ვწყდები მინას —
მიზიდულიბის კანონის ძალით...
მე ვისვენებდი აღმართებზე და ყოველ ჯერზე
ვშორდებოდი მინას თითქოსდა...

*

როცა ნამდვილად შემიყვარდა, შიშიც მოვიდა:
დიადი შიში,
სიყვარულის დაკარგვის არა,
საყვარელის დაკარგვის შიში...
მეტკინა?

არა.

შემეშინდა, მოსალოდნელი ტკივილის გამო...
ზურგითაც ვერნობდი ასატანი ჯვარის სიმძიმეს...
და ჩემ სუსტ მხრებში მოვიხარე,
დავპატარავდი...

როცა ნამდვილად შემიყვარდა,
მოვიდა შიში,
სიყვარულის თანმდევი შიში
და ჩემი სუსტი და მოხრილი მხრები ამტკივდა...

*

ჩემი თითები — მზის სხივები,
ჩემი ხელები — ფრთები თითქოს,
ჩემი თვალები — ბუდები...
ქალი კი არადა,
შვილი კი არადა,
დედა კი არადა,
ჩიტი ვარ...
ფრთებს ვმაღავ მოხრილ მხრებით,
რადგან არ დავდივარ,
დავფრინავ...
ჩემი თითებია მზის სხივები,
ჩემი თვალები ბუდები,
ქალი კი არადა,
ჩიტი ვარ...

*

რომ ვყოცნიდი,
ის კისერი,
ჩემს ტუჩებს კი არა,
თოქს როცა დაუთმო,
მეორედ და ნამდვილად მაშინ დავქვრივდი.

და გაქრა შიში და მოვიდა სევდა,
ტკილ-მწარე სევდა,
ჯვრის სიმძიმესაც ვეღარ ვგრძნობდი,
ჯვარიც გატკბილდა —
გადარჩენა თმენაზე გადის...
გაიბერა, გაფუვდა, გადიდდა
ქვრივის კაბასავით გრძელი გზა
და მსუბუქი გახდა სხეული...
გადარჩენა და თმენა ერთია...

*

როცა ჩემი თითები გადაეჩვევიან წერას,
ხოლო ჩემ თვალებს საბოლოოდ დავკინყდებათ
შენი თვალების ფერი,
მე მივხვდები,
რომ ესაა დიდი და ნამდვილი სიყვარული,
რადგან
როდესაც უყვართ,
თვალების ფერი აღარ ახსოვთ...

ფაჯარა

რა უნდა მექნა,
მე — თვალებადქცეულს,
ნეკერჩელის ფოთლები რომ მაოცებდა,
ვიჯექი ფანჯარასთან და ველოდებოდი:
აი, ახლა ჩამოივლის, აი, ახლა-მეთქი:

ჩემი მეზობლის სევდიანი ქალი —

ახალგაზრდა ქვრივის სახელი

ჩრდილივით რომ ადევნებოდა.

ვიდექი და ვუყურებდი —
არც ფრჩილებს ვიკვეტდი და
არც თავს ვიქენებდი აქეთ-იქით დანანების თუ
უფრო სიბრალულის ნიშნად.

რად უნდა შემცოდებოდა,
ისეთი ლამაზი იყო

მაშინ,
ნეკერჩელის ფოთლები რომ მაოცებდნენ,
ბედნიერება ხომ სილამაზე მეგონა,

ეს მერე მივხვდი,
როცა ჩაიარეს დღეებმა ჩემ თვალწინ,
როცა თვალის უცემებთან დამეტყო ასაკი და

ნეკერჩელის წითელი ფოთლები კი არა,
აღარაფერი მაოცებდა

მიგხვდი, რომ სილამაზე ტკირთია და

ყველის არ შეუძლია მისი ლირსეულად ტარება...
ბედნიერება კი,

ბედნიერება ქუნქულაბენვიანი სათამაშოსავითაა, —
ზოგს რომ უყვარს და ზოგსაც
ალერგიას მართებს.

რა უნდა მექნა:

ვიჯექი და ველოდებოდი...

ვინ იცის, საკუთარ ქვრივობას ვგლოვობდი

ფანჯრებს მიბჯენილი თვალებით

და სწორედ მაშინ შემოვიერე სულზე

ეს სამყაროსხელა სევდა,

საკუთარი გამხდარი და

გალეული ჩრდილივით მორცხვი...

ფანჯარაში მიყვარს ცქერა,

კვლავ ველოდები:

გამოივლის კაცი და მეტყვის,

წამოდი, შე მიმქრალფერებავ,

ლიმონიანი ჩაი დავლიოთო.

წავევები მეც და ჩაის მაგივრად,

შინნახად არაც დავლევთ და სახედამანჭულები

ჩემისავე დარდსა და ტკივილებს შევატანთ —

რომ ცრემლი გადავმალოთ,
რომ სევდა გადავმალოთ,
სიმორცხვე გადავმალოთ,
ყელიდან ხიჭვივით გამომარილი
უერთმანეთობა გადავმალოთ
და წიფლის ხის სუნიან სახლში,
ჭრიალა ჭიშკარი და ხის აივანი რომ ექნება,
ბუდე ავიძენოთ,
მარტობისგან დალლილი ჩიტებივით
მაშინაც,
მეტი რა უნდა მექნა:
ვიჯექი და ველოდებოდი...

გედობისა

მოქუჩდით, ქალებო,
ბედობისა უნდა შეგილოცოთ.
თქვენ,
ვისაც სიყვარული დაგითალხდათ,
თქვენ, ვისაც ნაბიჯები დაგიმმიმათ ცხოვრებამ...
მოქუჩდით, ქალებო,
ათასფერებო, ათასაბირებო,
ჩადრიანებო, თავსაფრიანებო,
თქვენ,
ვისაც სიყოცხლე სიცოცხლე გაძლება უფროა...
და მანც
უწვეული სიხარულით გიცემთ გული,
ბედობისა უნდა შეგილოცოთ:
„ბედო, ბედო ბედისაო,
შემოგყურებთ გულითაო.
ატიტი და მატიტი,
სამშვენი და სათითი,
ბედ-ილბალი გაიხსნება,
სიყვარული დაიწყება,
ბედო, ბედო ბედითაო“.
მოდით, მოგროვდით,
თქვე ბედნავსიანებო,
თვალებამოლამებულებო,
ფეხებდასიებულებო,
საკუთარი თავი რომ არასოდეს გახსენდებათ,
მოდით, მოქუჩდით,
ჩვენ-ჩვენი დარდებისა მოყვეთ,
ჩვენ-ჩვენი პატარ-პატარა სიხარულებისაც,
ხომ გაქეს ხოლო საჩვენო სიხარულები,
როცა სიზმრები ისევ ისე ფერადები გვაქეს,
ხოლო კარადაში საგულდაგულოდ ვინახავთ
საგარეო კაბას და ფეხსაცმელს.
ჩვენ ხომ მთელი ცხოვრება სხვისთვის ვართ,
სხვისთვის და საკუთარი თავი

ხატებთანაც აღარ გვახსოვს.

ჰოდა, მოდით, მოქუჩდით,
თავზე ხილაბანდი გაისწორეთ,
ეგ თქვენი დალლილი, დაკოურილი ხელები,
დაქანცული ჩიტებივით ჩამოასვენეთ მუხლებზე
და სმენად იქეცით,
ბედობისა უნდა შეგილოცოთ:
„ბედო, ბედო ბედისაო,
შემოგყურებთ გულითაო.
ატიტი და მატიტი,
სამშვენი და სათითი,
ბედ-ილბალი გაიხსნება,
სიყვარული დაიწყება.
ბედო, ბედო ბედითაო“.
ქალებო, ჩემფერებო,
ცალულებად რომ შერჩენილხართ სამყაროს,
მოდით, ერთმანეთს ბედობისა შევულოცოთ...

ჩემი ამპაზი

ამბავი უნდა მოგიყვეთ,
ჩემი ამბავი:
საქანელიდან რომ გადმოვვარდი და
მუხლები გადავიყვლიფე...
მერე მთელი კვირა მუხლს ქვემოთ კაბით დავდიოდი,
მრცხენოდა მუხლების გამო.
პირველად მუხლების გამო მაშინ შემრცხვა,
დედაჩემს რომ უთხრა ვილაცამ,
რახიტიანიაო.
გავიბუტე და მუხლების დამალვა დავიწყე.
მერე და მერე
მუხლისთავებივით ვმალავდი ტკივილებაც.
და როცა ყველაზე ძალიან ვიცინდი,
ყველაზე მეტად მაშინ მტკიოდა სწორედ...
მოდით, მოგროვდით,
ბუხართან ჩამოვსხდეთ.
არა, არა, შეშის ღუმელი სჯობს და
ღუმელზე შემოდგმული ყავის ფინჯნები:
ჭრელები, კოკობზიკები,
მოთუხთუხე ყავიანები...
ასე მოდულებულ ყავას ხომ სხვა გემო აქვს,
შეშის ღუმელთან გათეული
უშუქოლაბების გემო.
მუხლები ისე დავმალე, რომ
38 წლის გავთხოვდი.
თუმცა ზუსტად ვიცოდი მაშინაც,
რომ სიყვარულისთვის დრო არ არსებობს.

როცა ისე მალე დავქვრივდი,
ცოლობას გემოც ვერ ჩავაყოლე,
დროის უმწეობას მაშინდა მივხვდი და
საათები შევიძულე...

დიდი რომ გავიზარდე,
მითხვეს, რომ კლასიური მუხლის თავები მაქვს და
არ უნდა დავმალო,
ჩემი მაჯის საათებიდან კი ყველა გაჩერდა...
ადუღდა ყავა შეშის ლუმელზე...
სულს ნუ შეუბერავთ,
ქაფეავა მიირთვით,
მე ამბებს დაგაყოლებინებთ,
ჩემ უცნაურ ამბებს —
ზამთრის დამეებივით გრძელს და
მისტიკურს...

თავზის მონოლოგი

იმ თევზივით ვარ,
ნაპირზე რომ გამორიყა მიქცევამ
და ახლა ისდა დარჩენია,
რაც შეიძლება დიდზე დააღისა პირი...
ჩემი სხეული მომაკვდავი თევზივითაა —
სიცოცხლე უნდა...
ასე მგონია, დიდი ხანია, დამტოვა სულმა
და ახლა, თავისუფალი,
იმდენ ადგილას მოგზაურობს,
სხეულს რომ ვერც წარმოედგინა...
რა საჭიროა ეს საზღვრები —
გახსენით ყველა დარაბა,
კარი,
ჩამოხიერ ფარდები,
რომ რაც შეიძლება
მეტი მზე შემოუშვათ ოთახებში.
არასოდეს დავნერ კაცზე, რომელიც
მიყვარდა,
მიყვარს,
ან მეყვარება.
არც შეიძლება დავწერ —
რომელიც უნდა მყოლოდა და ვერ მეყოლა...
მირჩენია, საკუთარ თავზე დავწერო,
აუ იმაზე,
როგორ ჰეგას ახლა ჩემი სხეული
მიქცევისას ნაპირზე გამორიყულ
თევზს,
რომელიც პირს რაც შეიძლება დიდზე აღებს,
მეტი ჰერი რომ ჩაისუნთქოს...
სანამდე უნდა მდიოდეს სისხლი
შეიგნიდან?

ხელები კი არა,
ფრთხი მქონია და არ ვიცოდი.
როცა მხებიდან ბუერები ამომზრდება,
როცა თითები დაგემსგავსებიან ყაყაჩობს,
ვიქცევი მინდვრად და ჩემზე ირბენენ
ბავშვები,
არა ჩემი შეილები...
ბავშვები — სხევების შვილები —
ირბენენ ჩემზე და დამკრეცხ...
ჯერ კი თევზი ვარ,
ნაპირზე გამორიყული თევზი,
რომელსაც სულ უბრალოდ,
ჰაერი უნდა...

არ დაიჯერო

ნუ გამოეკიდები ჩემ სიტყვებს...
მელავეს ისე დავიქცევ,
კაბის კალთას გაბერტყავდე თითქოს...
ნახე, როგორი გრძელი და
დახვენილი მკლავები მაქვს,
სულ უნდა ვცეკვავდე...
ნუ გამოეკიდები ჩემ თვალებს...
თავი რატომ ვაბრუნო აქეთ-იქით,
ყოველი ნაბიჯი მაშორებს მიწას და
განზე განზეული ხელები
ფრთხია თითქოს:
ერთიც ნიბიჯიც და ავფრინდები.
სხივი — ჩემი თვალებისა,
აზრო — ჩემი არსებობისა,
ჩემი ადამიანობის გამართლებავ,
რამ შეგაყვარა ჩემი თავი?
რა ქალი მე ვარ:
ბაბუანვერასავით ერთი სულის შებერვა...
ნუ გამოეკიდები ჩემ ღიმილს...
ნაბიჯებზე სისხლისფერ ყაყაჩოებს რომ ვტოვებ,
ჩემი სალმობანია,
მართლა ყვავილები კი არა...
მალლა ანეული შელავებით
ქარს აყოლილ ალვას ვემსგავსები და
თან ისე ვშრიალებ,
უნდა გამიგონო.
მთელი სამყაროს დემიურგი
ამ ერთ აშრიალებაშია თავმოყრილი.
ჩემი ტერფები — დასიცხული,
ჩემი თითები — მაძებარი და
ჩემი მზერა — დამშეული...

მოდი და:

გააგრილე,
იპოვე,
დააპურე...
ნუ დამიჯერებ სიცილს...
თავსმოხეული ბედნიერება
სხევებისთვის თვალის ასახვევად მჭირდება მხოლოდ...
ქალი კი არა, ბაბუანვერა ვარ,
სულს შემიბერავ და
ჰაერში ვითარფატებ ათასი
ჰატარა სანთელივით...

ჩალობადამვარო

დაგენვას ეგ თვალები, ქალო,
ეგ შეკოლადისფერი თვალები,
ჭინკები რომ ჩაგბუდებია.
საიდანა გაქვს მაინც ამხელა ამბიცია?!
თმენის ამბიცია,
გადარჩენის ამბიცია,
გამარჯვების ამბიცია...
ვინ მოგცა ძალა,
რომ საკუთარი სანოლისკენ უხმოდ მიმავალს,
ქმრის საფლავი კი არა,
ქმრის მკლავები გაგახსენდეს...
დაგენვას ეგ ტურტები, ქალო...
მარწვის ფერი რომ ვერაფრით დაიდეს...
ვინ დაგაჯერა, რომ ღიმილი გიხდება?
ვინ მოგცა უფლება:
დადიოდე და ილიმებოდე,
საუბრობდე და ილიმებოდე...
საკუთარ ტკიფილებს რომ სამშვენისივით დაატარებ,
როგორ უძლებ, რომ არ წაიქცე?!

დაგენვას ეგ მოფერებადაგანწყებული მკერდიც და
თითებიც...
ქალად კი არა,
ნიავად უნდა მოვლენოდი ქვეყანას...
ვინ გადაგინვეიტა, რომ ქალი გრქემოდა?!
რა მსუყე დღეა, ქალო...
დასანურად გამზადებული მტევანივით მსუყე...
ზღვაზე მიღებული ნამზეურები გამოფინეს
ჭრელყაბიანმა გოგონებმა,
შენ კი...
შენ —
ქალობადამნვარო —
რამხელა ამბიცია გქონია მაინც:
საკუთარ ტკიფილებზე ამაღლების,
თმენის,
გაღიმების,
გადარჩენის და
გამარჯვების ამბიცია,
საკუთარი სანოლისკენ უხმოდ მიმავალს,
ქმრის საფლავი კი არა,
ქმრის მკლავები რომ გახსენდება...

„თავს უთვალავი ფერითა“

ღმერთს რომ არაფერი მოეცა ჩემთვის,
„მაქვს უთვალავი ფერითა“ სულ
და ეს მეყოფა გადასარჩენად.
რომ არაფერი ებოძებინა,
ამ უნაყოფო სხეულის გარდა,
ვიდარდებდი,
მაგრამ ოცნების დიდი ნიჭი მიბორა,
ჩემ თითებს წილად ხედათ პატივი —
დაწერონ ქართული სიტყვები
ფა დააჯერონ ადამიანები,
რომ სიკეთე გადამდებია...
მე რომ ღმერთს არ ვყეარებოდი,
მეტკინებოდა, მაგრამ
ახლა ვიცი, რომ ყოველი ტკივილი
სიყვარულის დადასტურებაა და
ტკივილებს ვინახავ.

თავსდატეხილი განსაცდელები

ბედნიერების ჩარჩობში გამოვამწყვდი და
სულის კედელზე ჩამოვკიდე,
როგორც შედევრი —
თუ ღმერთმა მომცა ძალა, გადავრჩე,
რატომ არ უნდა გადავარჩინო სხვებიც???

სიყვარულს დამტკიცება არ სჭირდება...
ჩემი თითები კი,
გალიდან გათავისუფლებული ჩიტები არიან და
ფრენენ...

და როცა თითები-ჩიტები წერენ სიყვარულზე,
მე ვხედავ შენ თვალებს ღრუბლებში
და ვიცი:


უფალს რომ არაფერი მოეცა ჩემთვის,
ამ უსარგებლო სხეულის გარდა,
მაინც ყველაზე მდიდარი ვიქნებოდი,
რადგან:

მიყვრასარ...

სულ რომ არაფერი ვიყო,
„მაქვს უთვალავი ფერითა“ სული და
გადასარჩენად კმარა!!!

დედას

რატომ ვერ იგრძენი, დედაჩემო,
რომ შვილი კი არა,
სევდა უნდა გაგეჩინე,
წვიმისფერი თმითა და
მზემიტოვებული თვალებით.
გაჩენის წამმა ტკივილები თუ დაგავიწყა,
კიდევ კარგია, თორემ
იმაზე ფიქრი შემშლიდა,
რომ სულ გატკიოდა...
რა გასაჩენი შე ვიყავი,
შიშველი დარდი,
ეს თვალებიც რომ შიშველია,
მზემ რომ დატოვა და
წვიმები რომ ჩაისახლეს.
ფიქრი რა და ფიქრითაც კი მუდამ სხვაგან ვარ...
ჩვეულებრივი რომ გაგეჩინე,
ვიქნებოდი ბუხართან ახლა,
მოვესოვდი წინდებს და
თოკზე გაყიდულ სარეცხსაც სულ
ღიღინ-ღიღინ დავალაგებდი.
ახლაც ვლილინებ,
მაგრამ მაშინ,
როცა ტკივილი,
არ მინდა, რომ სხვამ შემამჩნიოს.
ნუთ მართლა არ ვიგრძნო ვულმა,
რომ ქალის ნაცვლად ნაღველი უნდა გაგეჩინე,
ასე თავხედიც,
ჯიუტიც და ასეთი მძიმეც,
მიწაზე რომ ვერ ეტევა,
ზეცა არ ყოფნის...
სად მიგროვდება ამდენი დარდი?
ან ეს თვალები,
ეს შიშველი ჩემი თვალები
როგორ დავმალო?
დედაჩემო,
ჩემ დაღლილო დედაჩემო,
ჩვეულებრივი რომ გაგეჩინე,
მოვესოვდი წინდებს,
სარეცხის თოკზე თანმიმდევრობით გავკიდებდი
ფერად სარეცხებს
და ღიღინ-ღიღინ ჩამოვულიდი
ეზოს ყვავილებს
სარწყავით ხელში,
ახლა კი,
ახლა:
წვიმებით სავსე თვალებს ვატარებ და
უმზეობა ძალიან მიმდიმს...





ლელა ლაგაზიძე

მომავალი გაღი

მშობლიურ ბაღს,
ხებად ქცეულ სიყვარულს,
მზესა და მთვარეს,
ქარებს მინდიბლს.
მზერით ვეფერები.
ჩრდილს მცენს კაკალი,
მიწვდის მზისფერ წალამს
მამის ვენახი.
შრიალებენ ბრონეულები,
ბების ლოცვის დარი...
ეკვრის ვაშლს,
ბავშვობის სურნელს აფრქვევს ცის ვაზი.
შემოდგომის მზეს შეხარის,
ლალის მთოველი,
ძმის რჩეული, ვარდი.
ნიავის შეხებაზე მდერის,
ჩუმად, სულ ჩუმად,
ჯადოსნურ ხმაზე ბაღი...

გავალის სახლი

ისე წინარად წვიმს,
მწუხრის ლოცვას ჩურჩულებს წვიმა.
ბავშვობის სახლში თვლებს მყუდროება...
იმზირებიან თიხის დოქიდან ეზოს ვარდები.
დედა რით სავსე ბადიას დგამს გამთბარ ლუმელზე.
ძმინით მძივივით მეხვევა ზრუნვა.
შრიალებს ცეცხლი,
მიძინებას ალარ აპირებს,
თითქოს ყვება მონატრებით
ტყეების ზღაპარს,
მოდის სარკმელთან აპრილის ღამე,
ცის შავ საშისს
მოციმციმე ვარსკვლავით კემსავს...

ზაფხულის ხატი

მზე შებრძანდება
სასწორის ეტლში,
შემოდგომა აიკრეფს კალთას,
შემოუძლვება ჭრიჭინების უთვალავ ლაშქარს,
მოედებიან ბაღსა და მარასა,
აკვნესებენ საკრავებზე
უხსოვარი დროის სიმღერას,
ჟინანს, მზელი სურვილით საფსეს.
სიმღერებით მძინაფებენ
თავთავს და ბალახს.
მათი ძალით მზეს წვდება
და სულს ეწვეტება,
თითქოს ძერნავს ზაფხულის ხატს,
მზით დატბორილ
მინდვრების წიაღს.

დვინობისთვეში

ძონისფრად ყვაოდა ნეკერჩხალი,
ცრიატებდა ჭირცელი.
წვიმა, ცის სუნით გაყდენთილი,
ენაფებოდა საოცარ ფერებს,
მე სიყვარულის ფერს ვგავდი,
ცის სარტყელივით მოკიაფეს.
სანუკვარი,
სუნთქვასავით სანუკვარი იყო
შეყვარებული გარიურაუები.
„ბაღაზე დაცემული ნამივით წარმავალია ყოველი“ —
ნაღვლობდა ბრძენი.
...ლვინობისთვეში
სანითლე რომ დამარჯნავს ჭირცელს,
ნაღვერდლად იქცევა ნეკერჩხალი.
ისევ ღვივის შეუდარებელი დღეების მონატრება,
ჩუმი სევდით შეფერილი...

კაველას სიმღერა


მე მზის სატრფო ვარ,
ერთაული მხევალი.
სულის სენაკებს მინათებს მზის ალი.
მზებ მომიზატა ულამაზესი ფრთები,
ჩემი სიცოცხლე
სადიდებელი ცეკვაა მნათობის.
როცა მზე მტოვებს,
ყვავილის ფურცლებზე დაჩიქილი,
ჩრდილივით ვქრები,
ცრემლებით მაცილებენ
მთვარის შუქზე გადაშლილი
რძის ფერი ღამის ყვავილები.

სახა


სანამ მომძების
„დიდი მუზრნალი, ყველა ტკივილის გამაქრობელი“,
ნუ დამილევ
ხის დარგვის,
ყვავილის გახარების სურვილს,
წეროების ცეკვის,
შაშვთა გალობის,
ვარსკვლავთა ჭვრეტის იდუმალ სიხარულს,
ცრემლებში გაცრილი სევდის
ღიმილად ქცევის ნიჭის,
ჩემს სულს, გაცრეცილ ფრესკას,
ნუ გააშორებ
სიკეთის ფერს,
მჯეროდეს, უფალო,
მზებ ქალი,
შემანირინე ადამიანებისთვის
სინათლის ნაპერწკალი.

თემურ ლეგი

მე სიხარულს მგვრის
თქვენი სტუმრობა...
გიმზადებთ ჩაის პიტნის ყვავილით,
შორი მინდვრების სურნელი ახლავს.
გარეთ დეკემბერს აფითრებს ქარი,
თრთიან ლარგაკში ქრიზანთემები.
...მიყვებით ამბავს კოჭლ თემურ ლენგზე,
დაბადებიდან დაჰყვა თითქოს
ნადროს ჯიში,
გაუგრიანი სიძულვილი კაცთა მოდგმისა,
ღმერთს შეებრალა,
ღამე გაუთენა სულში ჩაწოლილი,
ქალი შეუყვარდა
(ნეტა როგორი ხმა პქონდა იმ ქალს?
ან რანაირი სიარული?),
მიდიოდა ლენგი ტბის ნაპირთან,
ნიავზე მშვიდი,
უმზერდა გედებს და აპურებდა
სიყვარულით დატყვევებული.



გურანდა



თერილთა მსგავსად

1. ამ ოთახში ოთხი კედელია
და არცერთი კარი,
რათა ალარ დაბრუნდე...
ჩემთვის მხოლოდ ის გრძნობაა ნაცნობი,
როდესაც მშორდები.
ნეტავ, რას გრძნობ ზღურბლს მიღმა?
2. მე ყველთვის სამყაროს ჭაობში ვიყავი.
იგი მხოლოდ იმის საშუალებას მაძლევდა,
რომ პერიოდულად ხელები ამომეყო ზედაპირზე.
სიყვარული ყოველთვის ის არ არის,
რაშიც საკუთარ თავს ვარნმუნებთ.
ჩემი სიყვარული მარტობაა!

1. პირველად როდის შეეხე ჩემს გულს?
შენმა სიყვარულმა მხუხარება და სიხარული
ერთბაშად მომგვარა.
ალპათ, ამიტომაც მქონდა ისეთი შეგრძნება,
რომ სადლაც შორს უნდა ნასულიყავო.
რატომ მწყალობდი ასე იშვიათად?
2. ადამიანის გული ცვალებადია,
მას ისიც კი არ შეუძლია, დიდხანს იყოს უბედური.
ჩვენი არც მხუხარება და არც ბედნიერება
არ არის სამუდამო.
ჩემ ირგვლივ, ზემოთ, ქვემოთ,
ჩემ გვერდით — ყველგან სიცარიელეა!
ალპათ, სწორედ ეს არის,
რაც რჩება,
როდესაც სიყვარული ცხრება.

ხშირად ბედისწერას იმ გზაზე შევხვდებით,
რომელსაც მისგან გასაქცევად დავადგებით.
აქამდე არ მეგონა,
რომ არსებობდა საბედისწერო ქალი,
საბედისწერო შეხვედრა,
ანდაც საბედისწერო კოცნა.
მაგრამ ერთხელაც ასე ხდება:
შევდები, აკოცებ, შეგიყვარდება
და იტანჯები.

მე გიყვებოდი ისტორიას,
ხან დიდებულ მეომრებზე,
ხანაც პატარა ბიჭზე,
რომელიც ტყეში პეპლებს იჭერდა
და მდინარეში კენჭებს აცურებდა.
ახლადა ეხვდები,
შენი გრძელნამნამებინი თვალები — ორი პეპელაა,



ბერია

რომელთა ფრთხების ფახურში
ის პატარა მდინარე სტიქსად იქცა.
მოდის ქარინი¹ და მდინარეში ლოდებს ისვრის.
მოდის ქარინი უნიჩო ნავით
და იცინის ეშმაკით საზარლად.
მტანჯაგს შენი სიყვარული და ისე
მეშინია შენი სიცივის, როგორც ჰადესის² ხელის!
ორფეუსმა³ საყვარელი ქალის გადასარჩენად შეცურა
ამ მდინარეში.
ორფეუსმა იხილა ქვესკნელი,
ვით ინანამ⁴ — ზეცის ქალწულმა —
გაიარა მისი შვიდივე კარი
და განიძარცვა.
ქირქილებს ქარინი
და ვგრძნობ, თითო კარიბჭე სულს მიმოკლებს.
ქირქილებს ქარინი და,
ევრიდიკეს⁵ მსგავსად, მებენენ გველები.
ვნებდები შენს სიყვარულს!

*

თრაკიის მეფევ,
იმღერე ჩემი სულის გადასარჩენად!

¹ქარინი — ბერძნული მითოლოგიის ერთ-ერთი უმნიშვნელოვანესი გმი-რი. მენაკე, რომელსაც მდინარე სტიქსებად ჰყარებულობთა სულუ-ბა.

²ჰადესი — ძველი ბერძნული მითოლოგიის მიხედვით ქვესკნელის მბრძანებელი.

³ორფეუსი (ორფეუსი) — თრაკიის მეფე, შესანიშნავი მომღერალი და მუსიკოს ბერძნულ მთალოგაში.

⁴ინანა — სიყვარულისა და სილამაზის (ასევე მოის) ქალმერთი შუმერულ მთალოგაში.

⁵ევრიდიკე — ხის ნიმფა და ორფეუსის მეულლე.

მე იასამნების ხეივნიდან ვარ

მე იასამნების ხეივნიდან ვარ.
როდესაც აქ პარველად დაგინახე,
მეგონა, ჩემთან ერთად იტირებდი
და როგორც პეტრეს ნიავისა,
ისე შემეშინდა შენი დაკარგვის.
მე იასამნების ხეივნიდან ვარ.
მხოლოდ ჩემი ტოტებია,
ქარის ხმას სიმღერად რომ აქცევს.
და მაინც,
ამ სიმღერამ ვერცერთ გაზაფხულს
ვერ მოიტანა შენამდე
ჩემი ხილული
სიყვარული.

მე იასამნების ხეივნიდან ვარ
და როგორც მმრი ციცინათელები ანათებენ
მდედრი ციცინათელების ყურადღების მისაპყრობად,
ისე ყოველ გაზაფხულს შენოვის ვყვავილობ.
მოითქვი სული ჩემს ჩრდილქვეშ.

როცა გინებ ნამდვილად გიყვარს,
ცა შედარებით ახლოსაა.
და მაინც,
მარტოსული ხდები.

და პრესია

გაზაფხულზე დეკემბერი გიდგას
და ზამთრისფრად შეგვერცხლია თმები,
ფერმერთალია მტვრიანი მაგიდაც,
ზიხარ, ზიხარ, გცივა ველარ თბები...
დადუმებულ პიანინოს ჩრჩილი
მოსდებია ისე, როგორც კეთრი,
შენს სახეს კი კაეშანი ჩრდილაეს
თეთრი, თეთრი შავზე უფრო მევეთრად
მოსჩანს სახე, რომელზედაც სული
ვერ ჩაუცვამს გაშეშებულ სხეულს,
მხოლოდ კატა გამზერს გასუსული,
შენ კი ფურცლებს — დამწვარს და დახეულს...
გარეთ თოვს და ისე უხვად ბარდნის,
გეგონება, შენი ფიქრით თავსხმა,
რა რთულია შემოქმედის ვარდნა
ზეციდან და მერე მისი დახსნა
სიკვდილისგან მინიერის განცდის,
ტყვეობისგან, სადაც არ არს შვება,
ბედისწერას ახლა თუკი არ სცდი
და არ ძალგიძს მასში გადაშვება...
ხოდა ახლა ზიხარ ცარიელი,
ცვარიელად, გვამიერად, ხმელად,
ლმერთაც აღარ ეძახი და ელი,
მოიბეზრე ყველაფერი, ყველა...
გაზაფხულიც თითქოს დაზაფრული
აისვეტა მაგ თვალების თაღოთან,
იქნებ დალლილს მოგერიოს რული
და უფალი ჩამოგიჯდეს თავთან...
და ეს ძილი, უტკბილესი ძილი,
გარდასახავს ზამთრის შავ-თეთრ სიზმარს
და ლექსები უკვე სახეცვლილი,
აღარ გმულს და, მგონი, კიდეც გიყვარს?..
შენ კი ახლა ზიხარ ცარიელი...

ესარომატი შვილს!

შენია მაისი, დაისი, აისი,
შენია ყოველი, რაც ღვთისგან შობილა,
ბელურა, რომელიც უბეში ჩავისვი
უმწერ, ცახცახა და დედიშობილა...
შენს ბაგაც დედის რძის სურნელი სამამ
ასდის და ეღვრება ნიკაპთან ნექტარი,
შენია ყოველი დილა და საღალა,
შენ ჩემი სიცოცხლე გახადე ნეტარი.
შელის ნუკრს რომ ეღრები ნუმისებრ თვალებით,
ღიმილიც მზის სხივებს ჩამოჰყა თითქოს და
„გიშრისთვალებავ, ნუ გაითვალები“ —
მახსოვე, დიდი ბებია იტყოდა...
შენია ეს მზანა, ეს წყალი, სამყრო,
შენს ხალას ღიმილზე ასე რომ კროებიან,
მსურს, შენი ზეციდან ღრუბელი გაყვარო
და მერცხებს მოყუბმო ფარფატობიანს
და ბუფე, რომელიც მე შენთვის დაწინანი,
მოვქსოვე, დავლამბე ნაირფერ ქარგებად
და იავნანას ჩაგაცი ჯავშანი,
მადლით შეგმოსე, რაც არ იკარგება,
ამ ქვეყის ნარ-ეკალს გაივლი იოლად,
მოვუბმობ ღოცებები ფეხმიმე მარიამს,
და ვეუცდი ღვთის ძალას, ვითარცა იონა
სერაფიმების მეცხრე ცის არასა...
ღვთის ბაცნენა; გაბრიელ ხარებით მახარე,
დიდება შენს სახელს, წმინდა მარიამ,
ბედნიერების არ მზამს სხვა მხარე,
ო, ავე მარია, ო, ავე მარია...
შენია მაისი, დაისი, აისი,
შენია ყოველი, რაც ღვთისგან შობილა,
ბელურა, რომელიც უბეში ჩავისვი,
უმწერ, ცახცახა და დედისშობილა.

დაობლებულა სახლი, ეზო-კარი და ოდა,

უნაფეხურო თოვლზე

ფიფქიც ფრთხილობს და კრთება,
სიოც არ იძრის ახლა, უნინ რომ ქარად ჰერიდა,
მზეც ესვენება სოფლის, თანდათან ნება-ნება...
საკამიურიდან ღადარს, ღაფავს, ამოსდის სული,
იქვე მეზობლის ძალის ისევ აგრძელებს ნკავეკავს,
მისტირის თავისი პატრონს,
რომელიც ცხოვრობს ქალაქს
და მოლოდინით დაღლილ მინას ქექას და კანწაგს...
დაობლებულა სახლი, ეზო, კარი და ოდა,
ჰაერიც გაედენთილა სურნელით მარტობის,
ხახსმოდებული სახლი თითქოს იღმის იდანავ
ვერშესამწევი ცრემლით და კაეშანით ობლის...
დაუმეგობრდა სევდა მანც მედიდურ კოლხეთს,
ხარბაზიდული უმზერს მთვლემარე სოფლის შარას,
იქნებ დაბრუნდეს კაცი,
იქნებ დაბრუნდეს კაცი,
იქნებ დაბრუნდეს ჩქარა!..

იყო წვიმა, ცეცხლის წვიმა, მერე ნარლვა...
გადავურჩი ამგვარ სიკვდილს, როგორც ნოე,

სოფიო
ლლონტი

ცისარტყელა აკიაფდა მაღლა ცაზე,
როცა გპოვე, სიყვარულით მოგიპოვე...
ეიდობანი შენი თბილი მკლავება,
სულს რომ მითბობს, ნეტარებას მაზიარებს,
ასე ძლიერ ჯერ არავინ მყვარებია,
მაგ ამბორით რომ მიშუშებ ძველ იარებს,
ასე ძლიერ ჯერ არავინ მყვარებია,
ასე ძლიერ ჯერ არავინ მყვარებია,
ზოგჯერ გარეთ ქარიშხალი, ქარგია,
შენს წინაშე კელავ რომ ამეფრიებიან,
ღმერთო ჩემო, ეს რა ურჩი ქარებია?!.
იყო წვიმა, ცეცხლის წვიმა, მერე ნარლვა,
გადავურჩი ამგვარ სიკვდილს, როგორც ნოე,
ცისარტყელა აკიაფდა მაღლა ცაზე,
როცა გპოვე, სიყვარულით მოგიპოვე...

მე ვემსგავსები დანაცრულ ბუხარს
და სამათხოვროდ ხელგანვითარებილ ყმაწვილს,
წუთისოფელო, ვტირი და ვწუხვარ,
რომ სულზე ღილებს მაწყვიტავ, მაცლი.
და თითქოს თავზე მექცევა ზეცა,
ზურისძიებას მიქადის ზეცსი,
გზებს უთავბოლოდ ვკეცავ და ვკეცავ,
ამაღება გამზღვარა წესი!..
თუმცა ღდითგან ყოფილა ასე,
ეს წესი წესად თანაგვდევს ყოველ
ჩევენთაგნის ბილწი ვნებებით სავსეს
და ვემსგავსებით თანადათან ცხოველს.
გვშია და სტირმაქს ვინცურებთ მშოლოდ,
სულელი შიმშილს გაურბის სული,
მე ვემსგავსები მებალებს ბოლოს,
რომელიც ბალნარს ვერ რნყავს, ვერ უვლის...
მე ვემსგავსები დანაცრულ ბუხარს
და სამათხოვროდ ხელგანვითარებილ ყმაწვილს,
წუთისოფელო, ვტირი და ვწუხვარ,
რომ სულზე ღილებს მაწყვიტავ, მაცლი...

ნამთვრალევი და გალეშილი წვანან ხეები,
წვიმა კი დარდით ანაცრემლი ქუხს და აწვიმებს,
მეხი კი ცაზე, გაოცებთ განახევები,
ჰექა-ჰეხილით აფრთხობს ლად და ამაყ არწივებს.
განაცრისიერდა, მოიქუფრა ზეცა ნაღველით
და ყველაფერი დაუმსგავსა მინას სევდიანს,
დღეს ბულბულების გალობასაც უკვე არ ველი,
დღეს მარტოსული კელავ ირჩევენ მარტოდ ხეტიალს...
მალე ნაცარი დაეყრება დანობებულ კოცონს,
ისევ ფაცი-ფუც მოჰყვებიან მთებზე ქარები,
ჩემს სულს კი ღელვა, ჩუმი შფოთი მით უფრო მოსწონს,
ვიდრე სამყაროს საფლავის ქვას შევეფარები...

რაღა მოვუხერხო ზამთრის გულის ფეთქვას,
თოვლით გადამტვრეულ ტოტებს,
ბებერ, შემძინარცვულ, შიშველ ატმის ხესთან
უკვე გაზაფხული გოდებს...
რაღა მოვუხერხო ფესვებს, უკვე გამხმარს,
მობეზრებულსა და დაღლილს?
რომ ჩუმად იშუშებს ტკივილებს ახლა

დასაწყისი პირველ გვერდზე

80-იანი წლების ქართულ მოთხოვნაა ზე მონოგრაფიის დაწერა რომ გადავწყვეტიტე, ერთმა კოლეგამ, ცნობილმა ლიტერატორმა, მითხრა: ვერც კი წარმოიდგენ, რამდენ რამეს და როგორებს იპოვიო. მართლა ვიპიოვე, უფრო სწორად, დღემდე ვპოულობ და ვწერ... ოღონძ გასულ წელს წიგნის ფესტივალზე ლეილა ბერიძევილის კრებულით რაც აღმოვაჩინე, ეს მართლაც მოულოდნელი იყო. წავიკითხე თუ არა, მაშინვე ქალბატონ მაკა ჯოხაძის სიტყვები გამახსენდა: „70-იანელები — ძვირფასი ნადავლით დატვირთული ჩაიძირული გემბი... ეს იყო თაობა, რომელმაც ერთგვარად დონორის როლიც კი შეასრულა წინა თაობებისათვის, ამ მსაცა მას მოდუნების საშუალება და ახალი შემოქმედებითი ბიძებითა და სტიმულით აავსო. ...მეორე მხრივ, ეს იყო თაობა, რომელიც მომდევნო თაობებისაგან უღვთოდ „განიძარცვა“, ხოლო კიდევ უფრო ახლებმა ეგრეთ წოდებულმა „ახალმა ტალლაბზ“ საერთოდ არაფერი იცის მათ შესახებ და „გულუბრყვილოდ“ მიაჩინიათ, რომ ლიტერატურული ნოვაციები მათ მიერ ინწყება მრავალსაუკუნოვან ქართულ ლიტერატურაში“ („სამოთხო უსიყვარულოდ“).

მეც სწორედ ამ პრობლემას ვგულისხ-
მობდი დასანყისში — 70-იანი წლების მე-
ორე ნახევრიდან დაწყებულ ბევრ სიახ-
ლეს, რომელთა გამომზეურებაც, ერთი
მხრივ, ნათელს მოჰვენს საბჭოთა სისტე-
მის დასასრულის ქართული სალიტერა-
ტურო პროცესის ხასიათსა და ნარმოაჩენს
მის მრავალფეროვნებას, მეორე მხრივ კი,
მნიშვნელოვანი საფუძველი იქნება ჩვენი
თანამედროვე ლიტერატურის სწორი და
ობიექტური შეფასებისათვის. ამ წერილს,
ცხადია, ვერ ექნება ასეთი პრეტენზია, ეს
ცალკე, სხვა სივრცეში ჩასატარებელი დი-
დი და საფუძვლიანი სამუშაოა. ამჯერად
მხოლოდ ერთი მოთხოვნის შესახებ ნაფი-
ქრს, მისგან აღძრულ არაერთ სატეგიარს
შევხებით, რომელიც საზოგადოების პრო-
ბლემა დღესაცაა და ალბათ კიდევ კარგა
ხანს დარჩება.

„მეოთხე შვილი იყო.

ფეხს ადგმის დრო რომ დაუდგა, მა-
მაშისმა ერთწლიანი ლაფანი მოქრა ხევში,
იმ ლაფნის ტოტებით შემოულობა სავალი.
გადიოდა და გამოდიოდა თავსა და ბოლოს
მსხვილი ლურსმნებით დაჭედილ ორ ჯოხს
შორის. ტრიალებდა შიგ პატარა მხეცივით.

იმ ორ ჯობს შორის აიდგა ფეხი“.

კითხულობ და ხვდები — სიზიფეს სივ-
რცეა, ოღონძ რაღაცხაირად ტრანსფორმირებული, კიდევ უფრო შეზღუდული და გინრო. თითქოს ეს ერთგვარი მინიშენება-ცაა მოთხრობის დასაწყისიდანვე, რომ პერსონაჟი ვერც მომავალში გაარღვევს ამ ორ ჯოხს შორის არსებულ სულის შემთხვე-ველ და ყოფის შემზღუდველ სივრცეს, ვერ გავა თავისუფალ საყაროში, სიყვარულს ვერ გაზრდის და ვერ ახარებს, რადგან ამ უკანასკნელს საზღვრები პირველ რიგში კლავს. მოთხრობის პირველივე აბზაცი ამგვარი ტრაგიკულობის ნიშანს ატარებს.

„ლილი“ ლეილა ბეროვანილის ზემოხს-ენებულ კრებულში ერთ-ერთი მნიშვნელ-ოვანი მოთხრობაა, რომელშიც ადამიანთა უსიყვარულობისა და დაუნდობლობის დრ-



აღა ნემსაძე

სიყვარულით „ლილი“

ამატული ამბავი თამაშდება, თუ როგორ თელავს მშევნიერ ლილის, ანუ სილამაზეს, საზოგადოების ბოლმა, სტერეოოფიცული აზროვნება და სათხოების დეფიციტი. შავ-გვრემანი, შავტუხა, კვირინიჩისისფერთვა-ლებიანი (მუქი ლურჯი) და პატარა, მიჭყ-ლეტილცხვირიანი ლილო, უკვე არასტერ-ეოტიპული ფერებითა და ფორმებით, სოფ-ლის ნაცრისფერი მასისან იმთავითვე გა-მოირჩევა, ხოლო ფრაზები — „პატარა გა-რეული ცხოველი იგრძნობოდა მის მოძრ-აობაშიც და გამოხედვაშიც“, „პატარა მხე-ცი, ნაურალზე გაზრდილი, ბედისწერის ნიშანდადებული“ — მომავალში მის ასეთ-სავე ცხოვრებაზე წინასწარ გვიქმნის მო-ლოდინს. ვგრძნობთ, რომ ლილი ჩვეულე-ბრივი გოგო არ იქნება, სოფლის წესებსა და ადამიანთა მიერ დადგენილ კანონებს ძნელად დაემორჩილება და მისთვის გულ-ის კარნაზი გახდება ყოფის განმაპირობებელიც.

ასეცადა, ჯერ კიდევ სკოლაში იმას სხანა-
ლობს, რაც მოსწონს, არც მასწავლებელ-
თა მუქარასა და ცემას აგდებს რამედ. აქვე,
სხვა უფრო მნიშვნელოვან პრობლემათა
გვერდით, მოზარდებთან არასწორი დამო-
კიდებულების შესახებაც მიუთითებს ავ-
ტორი, რაც დიდხნაინი პრობლემას ჩვენს
საზოგადოებაში, თუმცი მთავარი, რასაც აქ
სკოლის ჩვენება ემსახურება (და საერთოდ
მოთხოვთ ყველა სხვა დეტალიც) მაინც
პერსონაჟის სახისა და მისი ხასიათის გა-
მოსაკვეთადაა საჭირო, რომელსაც მწერ-
ალი ასეთი მცირე დეტალებისგან აგებს.
უთუოდ ლილის განსხვავებულობაზე, მის
ინდივიდუალურ თვისებებზე, შინაგან პირ-
ოვნულ სისუფთავეზე მიგვანიშნებს აშკარ-
ად სახარებისეული ალუზია — ღორების
მწყემსობა — რითაც კარგად ჩანს, რა რო-
ულია შინაგანად სუფთა პიროვნების ყოფა
მასობრივ, გაბატონებულ ჭუჭყიან საზოგ-
ადოებრივ მორალში. ლილის ხშირად უნ-
ევს ცემის ატანა დედისგან, როცა ღორები
ეკარგება ხოლმე, თუმცი ამ ტანჯვას მოთ-
მინებით იტანს, რითაც ფაქტობრივად უძ-
ლები ძის იგავის მოდელსაც და ქრისტეს
გზასაც ერთდროულად იმეორებს. „დაე-
კარგებოდა ღორი და ვილას ახსოვდა მან-
ქანები, მოდიოდა ეს ამხელა გოგო ღრი-
ალით. რასა შეველოდა ღრიალი, ვიდრე მამა
გამოეშველებოდა, უკვე ნაჩერქვი იყო და
უზილი გაუდიოდა ხელ-ფეხს. თუ გამოჩნ-
დებოდა დაკარგული ღორი, ხო კარგი, თუ
არადა ძილის წინ კიდევ ელოდებოდა ერთი
პირი ცემა“.

მთელი ბავშვობა ლილი გარშემომყოფთა აგრესიის მსხვერპლია: ამრეზით უყურებს სოფელი („სხვანაირად დადის ეს გოგო, სხვანაირად იყურება, ნახეთ, თუ რამე არ მოჰყვეს მაგის სხვანაირად სიარულს“), უგულოდ და მკაცრად ექცევიან მასნავლებლები („ჩამოვლიდა სიმღერით მასწავლებელი, აანინქინდა ყურის ძირთან თმას, და ასე სიმღერით გადავიდოდა სხვა რიგში“), სახლშიც ხშირად უწევს დედის სისასტიკის გაძლება („თხუთმეტი წლისა უნდა შესრულებულიყო აგვისტოს ბოლოს. იმ წელს გაიხვრიტა ყურები. ...იმ საღამოს დაალილავა დედამისმა. ...თმის შეჭრისთვისაც გაიგდო დედამისმა ფეხევეშ, ცემის დროსაც კი იღიმებოდა...“) — ამ ყველაფრის მიუხედავად, ლილის ბუნებაში აგრესია, შურისსიება, ბოლმა ვერ ისადგურებს, პირიქით, თოთქოს ეს ყველაფერი მასში საპირისპიროდ გარდაიქმნება და სითბოდ და სიყვარულად გროვდება, რის იქით გა-საცემადაც მუდმივად გახსნილია. „თერთმეტ-თორმეტი წლისას ნაბიჯი შეეცვალა. თითქოს მინაზე კი არ ადგამს ფეხს, საღდაც მაღლა მიინევს, მაგრამ ფეხი უცდება“. თხუთმეტი წლისა უკვე სიყვარულის-თვის მზადაა და ელოიდება კიდეც, „მეორე დღეს ლორებში წასვლის წინ სარკეში ჩაიხედა და ვაიმეო, ხელი ჩამოისვა სახეზე, მხრებზე — აუტანლად ლამაზი იყო...“ ამ მოკლე, მრავალწლერტილით დასრულებული წინადადებით მკითხველის შეუმცდარი გუმანი წამიერად გრძნობს რაღაც ტრაგიკულის მოახლოებას. ეს ტრაგედია კი სიყვარულს, გულწრფელობასა და ნდობას მოაქვს ლილისთვის.

არც ღორებს აინტერესებთ ეს ჩემი კაბა, არც დასიცებულ შარასა, მიყვარს!... ცხე-ნიდან რო გადმოვარდეს? როგორ დაჰყავს ცხენი გიყვივით. მიაწყევლიან ხოლმე, როცა ჩაიქროლებს, ამაზეც ტირილი მინდება; დანა რო გაუყაროს ვინმემ? ეკ, რომდენი სადარდელი სცოდნია ცოლობას!“. ექსპრესიულობას მწერალი აქაც იმით ინვევს, რომ არაფერსაც არ აღნერს, არც სიყვარულის სცენას და არც შეეყარგებულთა საუბარსათვის ალერსს, მხოლოდ ღილის დღიურისა რამდენიმე ბავშვურად გულუბრყელო და გულნრფელი ფრაზა ხდება ინსპირაცია იმ განცდებისა, რასაც მყითხველი გრძნობს და იმ სურათისა, რომელსაც საკუთარ წარმოდგენაში ხედავს. სწორებ ამით ახერხებს ავტორი, აღნერით კი არ შემოსაზღვროს, არამედ აღუნერლობით უსაზღვროდ გაშალოს მყითხველის ნარმოსახეს ველი და ამით იმ ესთეტიკურ ეფექტს მიაღწიოს, რისი ძალაც მხოლოდ ნამდვილ ღილერატურას აქვს.

ამ მოთხოვბაში დასმული პრობლემა გიორგი ლეონიძის „მარიტას“ გვაგონებს, მაგრამ მხოლოდ ერთი შეხედვით, ლილის ტრაგედია გაცილებით ღრმა და სულის-შემძვრელია. მას მართლაც გათელავს ცხოვრება, არანაირ ტალახსა და ტკივილს არ დაიშურებს მისთვის, უამრავი დაუნდობელი ადამიანი მეძავად აქცევს და ქალის სახეს აკარგვინებს. მისი რჩეულიც ისეთი ვე ნაძირალა აღმოჩნდება, როგორიც მთელი სოფელი. ლილი მარტოა სისასტიკისა და დაუნდობლობის წინაშე. „შენზე უარესები დასდგომიან სასიკეთო გზას“, — ეუბნება ვითომზ გზაზე დამყენებელი ბიძაქალს, რომლის ერთადერთი დანაშაული ამქვეყნად სიყვარულია. ფაქტობრივად, დედობაც ისევ საკუთარი ოჯახის წევრებმდე წაართვეს, ყველანაირი ტკივილისთვის ჯერ მათ გასწირეს და მერე საზოგადოებამ. მხოლოდ ერთ შემთხვევაში ხდება ლილი საოცრად ძლიერი, როცა გოდოს ცუდად ახსენებნ, არავის აძლევს მასზე აუგის თქმის უფლებას არც თავიდან — „ყველაფერი ჩემი ნებით იყო, გოდო არაფერში არ არის გასამტყუნი“ — და არც მერე, უკვე ცხოვრებაგვლილი და სოფელში დაბრუნებული: „უცბად გაგიჟა ამის თქმაზე. საშინელი დღე ანია დედას, უკვე ჭადარას, უკვე სიძერისკენ წასულს. გინებით აიკლო ყველა, იგინებოდა კაცივით, უშვერად, საზიზღრად და ისეთი ტანჯვით, გეგონებოდა, გათავებს კივილს და თვითონაც გათავდება“. ამ დროს ლილი შეუპოვარი ხდება, ცუდს არავის ათემევინებს მის დამღუცველზე, თითქოს მაშინ მისი გათელილი ქალობა იღვიძებს და ამით იგი უღირს მამაკაცს კი არა, უძინოფასეს სიყვარულს იცავს. ეს ერთი კონკრეტული ადამიანის ერთგულება არაა, ეს სიყვარულის, როგორც ამქვეყნიური სასწაულისა და ყველაზე დიდი ჯილდოს, ერთგულებაა. შეუძლებელია, ამ მომენტში პერსონაჟის მიმართ რაიმე უარყოფითი გრძნობა გაუჩნდეს მკითხველს და არ გაამართლოს ეს ნატანჯი ლამაზი ქალი, თუკი მისი საქციელი მოთხოვბაში სადღაც მაინც არ მოსწონებია და გაუმტყუზებია იგი. საბოლოოდ საყვარელი შვილის დაცვა მკაცრმა მამამაც ვერ მოახერხა, რომელიც არც ხალხის აზრს და არც სოფლის მორალს დიდად არ დაგიდევდათ და ყოველთვის საკუთარი პრინციპებით ახორციელოდა.

ლილის მამა ულრესად საინტერესო პერსონაჟია მოთხოვბაში, აბსოლუტურად წინააღმდეგობრივი ხასიათით. ერთი მხრივ, ყველანაირი სიმძაბლის ჩადენა შეეძლო „ყველაფერზე ხელს მოაწერდა. ...ლიმილ-ლიმილით შეეძლო ჩამოეხსნა მეზობლის სარეცხი და ქვემო სოფელში არა ყზე გაეყიდა. უბრალო მიზეზის გამო ცულით გამოპეკიდებოდა ადამიანს. დაებეზებინა მეზობელი, თავისი დაღუპული კაცისათვის სამძიმარი ეთქვა“ — მაგრამ, მეორე მხრივ, უზომის სიყვარული იციდა და ლირსეულადაც შრომობდა — „მინას სხვანაირად უვლიდა, გულიანად ბარავდა, გულიანად თოხნიდა, ეტყყობა, მუშაობის დროს იპყრობდა ადამიანობის განცდა, ადამიანად ყოფნის სურვილი, რის გარეშე ყველაზე საშინ ცხოველად გადაიქცეოდა ალბათ“. მისი ასეთი ამბივალენტური ჭურება გარკვეულნილად მის მიერ განვლილი გზის დამსახურებაც იყო, მასზე ხომ „მტან-ჯველმა ცხოვრებამ სხვანაირად იხარა“, ამ „გახარების“ შედეგი კი საზოგადოებასთან ისეთი ინდიფერენტული, ზოგჯერ

დაუნდობელი, შეუბრალებელი საქციელით
ვლინდებოდა, რაც მას ჰქონდა თანასოფ-
ლელთა მიმართ. იმის მერე, რაც ლილი სო-
ფელმა მოიკვეთა და გარიყა სიყვარულის
გამო ჩადენილისთვის, მამის ეს დამოკი-
დებულება უგულო საზოგადოებასთან
მკითხველისთვისაც სრულიად გასაგები
ხდება. განა ვის გვერდთ ცხოვრობდა, რომ
თავისი ჭუჭყანი ცხოვრების გამო სირცე-
ვილი და სინდისის ქენჯნა ეგრძნოო? —
კითხულობს ავტორი. თუმც ბოლომდე საკ-
უთარი ინდივიდუალობისა და სიძლიერის
შენარჩუნება და დაპირისპირება სოფლის
იმ გულექვა კოლექტიურ მორალთან,
რომელიც ყოველთვის მსხვერპლს მიიჩნევს
დამაშავედ და ანგარიშსაც მხოლოდ მას
უსწორებს, ვერც ასეთმა მამამ შეძლო და
ეს მისი ყველაზე დიდი დანაშაული იყო.
მკითხველს არც აქვს სხვისი თანადგომის
იმედი, იმედგაცრუებას მხოლოდ მამის მი-
მართ განიცდის.

ପାତ୍ରାରା ମନୋକ୍ରମଦାବା „ଲୋଲି“ , ସ୍ଵାଲ୍ଲାରାମ-
ଦେବନିର୍ଭୟ ଗ୍ରେନର୍ଡୋ, ମାଗରାଥ ଶୁଣିଦେଖ୍ଯ ଫ୍ରିଲାର୍-
ସାଫ୍ଟୋଇର୍ର ର୍କ୍ୱେରିଙ୍‌ବ୍ୟାରୀ ମିମାଲ୍‌ପା କ୍ରେଜ୍‌ସକ୍ରିୟ
ଥେରାକିନ୍ରୁଲ୍ଲା ନେନ୍ଦରିଗ୍ରେ କ୍ଲ୍ସାର୍ଗ୍‌ଲିଳୀସ ମିରଦାମ
ଦା ଏହ ଗାତାମାଶେବ୍‌ଶୁଲ୍ଲ କ୍ରାଗ୍‌ରେଡାଶି „ଦେଇଲି-
ନ୍ରେରିତ ଫାଲଦାଶମ୍ଭୁଲ୍ଲ ମିସୋ ପ୍ରେରସନ୍ଦାଶ୍ୱେଦି
ଅର୍କ୍‌କ୍ରେତାଲ୍‌ଶୁଲନ୍ଦିବୀସ ସିମାଲଲ୍ଲେବେ ଅନ୍ଦରେବେ“ (ନୋ-
ରା ଗ୍ରେଲାଶ୍ୱୋଲି).

ლილის ცხოვრება ამბობია — ესაა ის ლაიტმონტივი, რომელიც მთელ მოთხოვნას გასდევს. ეს ამბობის სხვადასხვანაირი ფორმითა და სახით ვლინდება სხვადასხვა დროს. ასე იწყება პატარა ლილის ურთიერთობა სამყაროსთან (ლოკალურად სოფელთან და თანასიფლელებთან), ბავშვობაში რაღაცნაირი ჯოუტი მოთმინებითა და დასჯოს მიუხედავად მაინც იმის კეთებით, რაც უნდა. როგორც ეგზისტენციალისტები ამბობენ, არსებობაში მთავარი გონება ან განსჯა კი არა, ნებაა და სწორედ ეს ნება აქცევს ადამიანს სუბიექტად, ინდივიდად, რომელიც შემდეგ აზროვნებს და მოქმედებს საკუთარი ნების შესაბამისად. ლილის ცხოვრებასაც ეს ნება წარმართავს. უკვე წამოზრდილს სკოლაში მასწავლებლებიც სჯიან, ურჩი და ზარმაცი მოსწავლეა ლილი, მაგრამ თითქოს აქაც მისი საქციელის წარმმართველი ისევ უტეხი ნებაა, რითაც ჰერსონაჟი თავის დამკაიდრებას და ინდივიდად დარჩენას ახერხებს და მასწავლებლის მუქარას ყურადღების ლირსადაც არ მიიჩნევს.

„ — დაფქვიამვილო! ...რა ქარმა გად-
მოგაგდო? ...წელს მითორთხილდი, ან მე ვი-
ქნიბი, ან შენ!..

სიცილით იფხრინებოდა მერხში თავშე-
რაზღვი ლილი.

ეს თაისისუფალი ნება და ამბოხი საზოგადოებრივი აზრისა და გაპატონებული მორალის წინააღმდეგ უფრო მყაფიოდ შემდეგში ვლინდება, როცა ქალს მხიშეხელოვანი ცხოვრებისეული გადაწყვეტილებების მიღება უწევს. ფილოსოფოსები ხშირად საუბრობენ ეგრეთ წოდებულ ზღვრულ სიტუაციაზე — ესაა ვითარება, როდესაც ადამიანი იმყოფება განსაკუთრებული დაძაბულობის პირობებში, როგორებიცაა ტანჯვა, უბედურება, დიდი განსაცდელი, პირადი თუ გლობალური ტრაგედიები. ამ დროს ვლინდება სწორედ მისი ხასიათი, რაც, თავის მხრივ, მნერლის მსოფლმხედველობრივ სისტემას ეფუძნება. პირველი გამოვლინება ძლიერი ნებისა ასეთ ზღვრულ სიტუაციაში გოდოს დაცვა და საუთარი თავის განირვაა („ყველაფერი ჩემი ნებით იყო, გოდო არაფერში არაა გასამტკიცებული დროის განვითარების გარეშე“).



ოლოოდ კვლავ სამყაროსთან უპირობო სიყვარულითა და მიტევების დიდი გრძნობით სრულდება. ლილი არ ხდება ბოროტი, ვერ იპყრობს შურისძიების ვწება, ვერც მაშინ, როცა ჩაგრავნ და ვერც მერე, როცა პირდაპირ აღმოჩნდება უდიდესი პიროვნული განსაცდელის წინაშე — კარგავს სიყვარულს, შეიძლს, და აცნობიერებს ყველაზე დიდ, შეიძლება ითქვას, უმთავრეს ტრაგედიას, თვალწინ გადაეჭლება სიმართლე — „არც ვახსოვარ და არცა ვხსომებივარ არასოდესო“. და სწორედ აქ ჩანს მისი უზომო ჰემანიზმი და სიყვარულის განსაკუთრებული უნარი. თავზე ჩამოქცეულ სამყაროშიც კი სულ მარტოდმარტო დარწენილი ლილი, სადაც აღარცერთი მიზეზი აღარ არის, რომელსაც სიცოცხლის გასაგრძელებლად შეიძლება, მოეჭიდოს ადამიანი, კვლავ იმ მნევრვალზე რჩება, საიდანაც ყველაფრის პატივებას ახერხებენ დიდსულოვანი ადამიანები. „არავისი არ ეხარბებოდა, არაფერს ნანობდა, იხსენებდა, სიყვარულით სავსე, ლამაზი რომ დადიოდა ამ ქვეყნაზე. ამ დღეების მერე თითქოს არცა ყოფილა. საშიშსა და ბენცის ხიდზე სავალს ჰყავდა ის სიყვარული, ძალან დიდხასის იარა ბენვის ხიდზე, ძალიან დიდხასის, ბენვის ხიდს გადაჰყვა იმ ქვეყნაში“.

მართლაც ანტიკური სიმაღლის „ბედ-ისწერით დალდასმულ“ პერსონაჟს ქმნის ლეილა პერიშვილი ამ მოთხრობაში. და თუ სარტყოს იმ ცნობილ თეზის გავიხსენებთ, რომლის მიხედვითაც „ადამიანს მისჯილი აქვს თავისუფლება“, შეგვიძლია ვთქვათ, რომ ლილი ამ თავისუფლებით ჯერ ისება, მერე იტანჯება და ბოლოს განწმენდილი უსაყვედუროდ გადადის სხვა სამყაროში, მოკლედ რომ ვთქვათ — ბენვის ხიდზე იარა, უყვარდა, შესცოდა, იტანჯა და განინ-მინდა.

ამგვარად, „იმ ორ ჯობს შორის“ გაიარა ლილის უსიხარულო ცხოვრებამ. თითქოს დაბადებიდანვე დაყოლილი ბედის-ნერა იყო, ვერც ბავშვობაში და ვერც შემდეგ ვერ გაერლვა სიძულვილისა და გულკივიბის ჯებირი და ვერ გაეტანა დიდი სიყარული ბრმა ადამიანებით დასახლებულ სამყაროში. კრებულის წინასიტყვაობაში ნაირა გელაშვილი წერს: „ეს ამბავი, სხვის ხელში ბანალურობას რომ ვერ გაცდებოდა, ლეილა ბერიშვილის მკაცრ და მართალ ხელში ბიძლიური იგავის მნიშვნელობასა და შთამბეჭდაობას იძენს“. მართლაც უზუსტესი შეფასებაა მისივე თაობის ნიტიერი მწერლისაგან.

გაგა ნახუცრიშვილი

პოეზიის მაცნეორული სიმარტივა



დასაწყისი პირველ გვერდზე

იყო და არა იყო რა და მეც უკვე მერამზე
დენედ მივყვები „მექანიკური როიალის“
გვერდებს, ლექსებს, ხმას, ღრმასა და,
ამავე დროს, სადაც; წუგზარ ზაზანაშვილ
ლის პოეზიის მეცნიერულ სისადავეს, უფრო
რო კი — სიმარტივეს. მეცნიერება ხომ ძა-
ლიან მარტივია, როდესაც ის კარგად გეს-
მის და სხვასაც მარტივად უხსნი, აგებინება
პოეზიაში არის მეცნიერება და მეცნიერე-
ბაშიც არის პოეზია. ორივე გამუდმებით
სვამს კითხვებს, ეძიებს, ცდილობს, ადამი-
ანს საკუთარი თავისა და გარე სამყაროს

„მე მარტივი ვარ
ვიღაცას რაღაც ვაჩუქე
გაუხარდა
თა მიხარია

მე მარტივი გარ
სააღდგომო კვერცხები
უნაკლიოდ მუქ-ნითლად შეიღება
თა მიზარდა

მე მარტივი ვარ
მენატრება
შვიდი წლის ნინ გარდაცვლილი
დამა

დედა
მე მარტივი ვარ
კიდევ უფრო მარტივი
გავხდები მალე “
ნუგზაარ ზაზანაშვილმა იცოდა, რომ
ადამიანები მარტივები ვართ, თუმცა მარ-
ტივად ვერ ვცხოვრობთ, წარამარა ვირთ-
ოვთ და ასე არ ვისარგდოთ.

„სიზმრებში ყველა არის ცოცხალი,
ყველა —
ათხეთი და ართი კათარა

აღარ ტრიალებს დროის ბორბალი,
აღარც გზაა და აღარც მანძილი...“

„ნავა
ნავა
ნავა
ნავა

ნუგზარის უკანასკნელი კრებული აღმოჩნდა, პანდემიისას გამოქვეყნებული. კაცობრიობის ისტორია ხომ ისევ ორ ნანილად გაიყო — პანდემიამდე და პანდემიის შემდეგ. ასე არც თუ იშვიათად ხდება ხოლმე. თითქოსდა ეს წიგნი მისი წინათვრენობა იყო, თითქოსდა ამ კრებულით საკუთარი ეპიტაფია დაგვიტოვა და გამოგვემშვითობა.

„ନୀବା ନୀବା ନୀବା
ନୀବା ନୀବା
ନୀବା...

“ შეიცვლება მედიცინა,
შეიცვლება
ჰაგაც.“
ცვლილებებზე ხშირად ფიქრობდა. იც-
ოდა, „ასეთი დროა“ – მისსავე ლექსის და
კრებულის სათაურს დავესესხე. ყვავილე-
ბი უკვე მხოლოდ პანაშვიდებს აგონებდა,
ადამიანებს შორის ურთიერთობის რღვევ-

ას განიცდიდა და ასე წერდა:
„უნდა მოვასწრო
უნდა მოვასწრო
უნდა მოვასწრო“
უნდა მოესწრო, რადგან ყველაფერი
სწრაფად იცვლებოდა. ისიც იცოდა, რომ
ყველაფერი ახალი კარგს არ ნიშნავს, იცო-
და რომ „ჩიტასაც სული აქვს, რა თქმა უნდა,
ჩიტასაც სული აქვს!“ ამიტომაც ეპორუნა

ପିଲାଶାର୍କ ଉତ୍ତର ଏକାକୀ, ଯାକୁଣ୍ଡରାଜାର୍କ ଗାୟନ୍ଧେର
ଉତ୍ତର ଏକାକୀ ଏବଂ ଏକାକୀ ଏକାକୀ ଏକାକୀ ଏକାକୀ

„ଭବନୀର୍ଦ୍ଧରେ ଗାମରଣାର୍ଥେବିତ“
ମିଶରିଙ୍କାରେ ପାଇଲା ଏହାରେ କିମ୍ବା କିମ୍ବା—
ମିଶରିଙ୍କାରେ ପାଇଲା ଏହାରେ କିମ୍ବା କିମ୍ବା—
ମିଶରିଙ୍କାରେ ପାଇଲା ଏହାରେ କିମ୍ବା କିମ୍ବା—

ამ რაღადენიმა ნლის წინ კრიტიკოსმა
და ესეისტმა ზაზა კვერცხიშვილმა უურ-
ნალ „არილის“ ფურცლებზე ერთი მეტად
მნიშვნელოვანი ინიციატივა გაამჟღავნა.
ეს იყო ლიტერატურული პროცესების გო-
ნივრული დაბალანსების პრინციპით ნაკა-
რნახევი მიბრუნება რეპრესირებული ქარ-
თველი მწერლების ტექსტებისაკენ (გორგ-
გი შატბერაშვილი, გიგი მაღულარია), რო-
მელთა მხატვრული ღირებულების ახლე-
ბური ანალიზი, რეინტერპრეტირება, როგ-
ორც იტყვიან, დრომ მოითხოვა. სამწევა-
როდ, პატონ ზაზასგან დამოუკიდებელი
მიზეზების გამო ეს წამოწყება ჯერჯერობ-
ით ვერ გაგრძელდა. თუმცა მის მიერ გა-
ცოცხლებული ინტერესი დარჩა და, მეტ-
იც, გაფართოება მოითხოვა. მით უფრო,
რომ კვლავინდებურად დაზუსტებას სა-
ჭიროებს ეგრეთ წოდებული მეორე ტალ-
ლის (1946-1956 წლების) რეპრესირებულ
მწერალთა შესახებ დამკვიდრებული შეხე-
დულება, რომელიც მათ გაუქცდაობას თუ
უნიათობას უკავშირდება (იმ წლებზე არა-
ფერი დაუწერათ, ყველაფერი დავიწყებას
მისცეს). ამ ბრალდებულის მეტი პასუხ-
ისმგებლობით აღქმამა კი, როგორც მოს-
ალოდნენდელი იყო, „რატომ“ და „რისთვის“
რიგის კითხვები გააჩინა.

ხომ ყველანი ვთანხმდებით, რომ იდე-ოლოგიური საბურველით შეფუთული ამ-ისშემდგომი სტალინიზმის რეალურ სახეს ცოტა ვინმე თუ იცნობდა, თუმცა ინფორ-მირებულობის ხარისხს მატებასთან ერ-თად ეს სურათი უნდა შეცვლილიყო. მიუხ-ედავად ამისა, ჩვენი საზოგადოების ერთი ნაწილი დიდხანს ვერ იღებდა, მაგალითად, მეორე მსოფლიო ომში ტყვედრჩავარდნილ, შემდევ გერმანელთა სამასაურში გადას-ულ და სწორებდ ამის გამო საპქოთა საკონ-ცენტრაციო ბანაკებში გადასახლებულთა სიმართლეს, რომელიც, მართალია, ერთ-გვაროვანია არ იყო, თუმცა თავისი ახსნა უთუოდ მოექებნებოდა. ბევრად უფრო ად-ვილი ჩანდა ამ ოში შენირული გმირის, ვთ-ქვათ, მირზა გელოვანის, გლოვა, ვიდრე იმის, ვინც შიმშილით სიკვდილით პროვო-ცირებული გადარჩენის ერთობ სათუო იდ-ეას ჩაეჭიდა. და რა უნდა ყოფილიყო ეს იდეა, თუ არა ამჯერად გერმანელი ნაცი-სტების დახმარებით საქართველოს დამო-უკიდებლობის მოპოვების მორიგი და ერ-თობ ილუზიონული მცდელობა. ისიც გა-ცხადდა, რომ დიდად არც დისიდენტური მიდრევილებების გამოვლენას მივესალმე-ბოდით, რადგან ამგვარი სითამაშე უპირა-ტესად არა ჩვენი, არამედ რუსი უფლე-ბადამცველების პრეროგატივად მიგვაჩნ-და. ამიტომაც როსტომ ჩხეიძე ჯერ კიდევ 1996 წელს გივი მალულარიას რომან „უკუ-ქცევის“ ბოლოსისტყვაობაში, სათაურით „ხვედრი“, საყვედურობს ქართული ინტე-ლიგენციის დიდ ნაწილს იმის გამო, რომ იგი აღფრთვობანებულია რუსი დისიდენტების გამბედაობით მაშინ, როდესაც არა-ფერი იცის საკუთარ თანამემაბულეთა მი-ერ შექმნილ ანტიტოტალიტარულ ტექსტებზე. არადა, 1961 წელს დაწერილი ამ რო-მანის გამო მაღალი აზრის ყოფილა რე-ვაზ ინანიშვილიც. აი, ჩანაწერი მისი დღი-ურიდან: „რომანი წავიკითხე ჯერ კიდევ ოცი წლის წინათ და მაშინვე ვყვიროდი, რომ „უკუქცევა“ გაცილებით უკეთესი ნაწარმოებია, ვიდრე სოლუსიონინის „ივან დენისოვიჩის ერთი დღე“. მე იმასაც ვყვი-როდი და ვიყვირებ ახლაც: „უკუქცევა“ შედევრთაგანია მდიდარ ციმბირულ საბა-ნაკო ლიტერატურაში“.

კიდევ ერთი მაგალითი, ამჯერად საზოგადოების იმავე ნინილში საპალოროდ მყარად გამჭვდარი კონფირმიზმის უტყუარი ნიშნით, რომელიც ძალზე სიმპტომატურ მსხვერპლს იწირავს — საუბარია ოტია პაჭორიაზე, „ევროპული ყაიდის მოაზროვნესა და ლიტერატურული გემოვნებითა და კრიტიკული აღღოთი გამორჩეულ ლიტერატორზე“, რომელიც 1948 წელს, „დიადი გამარჯვებით“ მონიქებული ეიფორიის დროს, ახალგაზრდულ ანტისაბჭოთა ჯგუფში განევრიანების გამო 25-წლიანი სასკელით ყაზახეთის უდაბნოში, უკიდევანო სტეპში მონიშნულ, მოგვიანებით კი თავად პატიმრების მიერ აგებულ, ქალაქ ჯეზყასგანი გადასახლეს. სიკედილამდე რამდენიმე ხნით ადრე მან იგრძნო ქართული საზოგადოებისგან გაუცხოების მთელი სიმწვავე და ის, რაც ამის შესახებ დაწერა, პრალდებას უფრო ჰეგავს, ვიდრე აღსარებას: „აქვს კი დღეს ფასი ჩემს სიმართ-

ლეს, ზნეობრივ უპირატესობას? თითქმის
არავითარი, პრაქტიკულად, არავითარი...
ამ დღეებში ხომ საოცარი სიცხადით გა-
მოჩნდა, რომ მწერლური „ელიტის სავის“ მც-
უცხო ვარ და უფრო დიდი სიამოვნებით
გაუწვდიან ხელს ჩემს „ოპონენტს“, ვიდრე
მე, რადგან მასში უფრო სახიფათო მტერ-
სა და თავისიანს, არსით მათვე მსგაცს।
ხედავენ, ვიდრე ჩემით... არავის სჭირდება
შენი სიკეთე, კეთილგანწყობა, სიმართლე...
ამ ორი კვირის მანძილზე ერთი ოცი ნლით
დატერდი...“. ცნობილია, რომ ამ სიტყვებს
ფაქტობრივად, თვითმკვლელობისეკნ გა-
დადგმული ნაბიჯები მოჰყვა. დიდი ტკი
ვილი, რომელიც ამ ადამიანმა თან წარ-
ბოლომდე გაუაზრებელი დარჩა.

აი, პოეტ ლადონ სულბარიძეს კი გადა-
სახლებიდან დაპრუნების შემდეგ ასეთი
მწვავე თვალისასხელა როგორღაც ასცდა-
თუ არ ჩავთვლით ორიოდე ლექსს („ათ-
ნაბიჯი სიცოცხლე“, „მრუდე სარკე“), რომ
ლებშიც მეგობრისიგან მიყენებული მნარ-
გულისტკენა იკითხება (ან ვის უცხოვრი

ლი შემადგენლობითაცაა ნარმოდების და ძირითადად გადასახლების დროს მიღებულ შთაბეჭდილებებს ასახავს, ერთგა მინიბალადას „ყვითელი მინდორი“ ასევე წარწერას წარუმდლვარებს: „1942 წელს ტყვეთა ბანაკი. სიზმარი“. 1942 წელს და რილი ლადო სულაბერიძე ქერჩთან, მარიალაც, ტყვედ ჩავარდა და დასავლეთ უკრაინის ქალაქ ვლადიმიროვილინს კისთავანლაგებულ ტყვეთა ბანაკში ამოყოფითავთუმცა ჩრდილოეთის მომაკვდინებელ „ციილი“ მან არა ამ დროს, არამედ ომშემდეგ, სწორედ 1948-56 წლებში, იხილროდესაც გაუგეს გერმანელთა ქართულებინში განევრიანების ამბავი და, შერეულობით „გადასახლებს; ან კიდევ ერთი შეხედვით სრულიად უწყინარი ლექსი „ბებია“, რომელიც ახლობელი ადამიანის ხონას ეძლევნება. მასში პაროლივით დევონინარე მიაუნჯავს სახელი. 1960-70-იანი წლების ქართველ მკითხველს კი შესაძლო იგი სულაც პოეტურ მიგნებად ან ეგზოტიკურ ბერეათშეთანხმებად მიაჩნდა, რად

ნონა კუპრეიშვილი

საგა საეჭოთა პოეტი



ამის გარეშე?). გასაგებია, რომ ჯერ ტყვეობდიდან, შემდეგ კი გადასახლებიდან მიღებული უმძიმესი გამოცდილების შესახებ იყო არა თუ ლიად, არამედ ნაცნობ-მეგობრებთანაც არ საუბრობდა. ეს იყო ომგამოვლილი ქვეყნის „ჩურჩულის სანა“, როდესაც თავისუფლების სიტყვები თაობათ „გულებში იყო ჩამარტული, პირზე ბოქლომი ედო ყველას და თუ ვინმეს რამე ნამოს-ცდებოდა, ჩურჩულითაც კი, მყისვე გააქრობდნენ...“ (ლადო სულაბერიძე). პოსტი სტალინური, დათბობისა და უძრაობის წლებში, რომლებიც თითქმის ერთნაირად ფუჭი და ამაო ცდუნებებით აგულიანებდნენ პოეტებისა და მწერლების გარევეულნილს, ლადო სულაბერიძე ცენზურისათვის მეტ-ნაკლებად მისაღები თემატიკის ჩარჩობში ეტეოდა და პოლიტკორესეტულობის დაცვით მიჰყვებოდა საბჭოთა ლირიკოსს გზას. ირკვევა, რომ იგი, როგორც გულაგამოვლილი, „ნათოვენანატანჯი კაცი“, თავის სიცოცხლეში არც მოელოდა თავისუფლებისთვის გაპროლების უარყოფილ თუ დავიწყებულ შესაძლებლობას საბჭოური მონსტრის შერყევას. თუმცა ის სახელები, რომლებსაც იგი, ერთი შეხედვით, უწყინარი პოეტური სტრიქონებით ეხებოდა, ზუსტად ასახავდა ავტორის ფარულ სულიერ ცხოვრებას.

ମେଘଦୁର୍ବଲନୀଶ୍ଵର ମାତ୍ରକୁ ଲ୍ଲଙ୍ଘିବେଶ୍ବର ମିଠିଲ୍ଲା
ନିଲ୍ଲା ଓଲାଦା କୁର୍ବାକୁର୍ବାନୀଶ୍ଵର, ଗ୍ରେରନ୍ଥି କୁର୍ବା
କୁର୍ବାନୀଶ୍ଵର, ନିର୍ବା ତାଳନୀଶ୍ଵର, ମାରନ ମାଯାଶ୍ଵରିଲୀଶ୍ଵର
ତୁ ତ୍ରେରନ୍ଥି ଗ୍ରାନ୍ଜେଲିଶ୍ଵରାଦମି, ଅନ ତୁନ୍ଧବାଚ
ଦାଲାଦ୍ଵେଶ୍ବର ଉତ୍ତରପଥିତିରେ ଉତ୍ତରଦାସ ଏବଂ କୃତ୍ତିବ୍ରତ
ଶ୍ରୀ କୁର୍ବାନୀଶ୍ଵର, ମିମାରତ୍ତବ ଇନ୍ଦ୍ରାଲୀଶ୍ଵର ଏବଂ ତ୍ର୍ୟତ୍ତବ
ନିଲ୍ଲାନୀଶ୍ଵର ସାନ୍ତ୍ଯପଦିଶାଦମି, ରାମଶ୍ଵରିତ୍ତ ନିର୍ବା
ନାତ୍ରୀଶ୍ଵରାଦ ନମିଶ୍ଵର ବ୍ୟୁତିରେ ଏବଂ ଶୈରିବ୍ରହ୍ମବାଦ
ଲାଲିକମ୍ଭେଦା, କୁର୍ବାର୍ଗମ୍ଭେଦା, ଇଲିନି ବ୍ୟାଲ୍ଲବ୍ୟାନିନ ନାମ
ଫ୍ରାଣ୍ତିରେ, ରାଗବନ୍ଧିତ ହିର୍ବେନ ବ୍ୟାନିନାନିନିନ ଏବଂ, କୁର୍ବାନୀ
ର୍ବାନୀଶ୍ଵର ତାମିଲ୍ଲାନୀଶ୍ଵର ନିର୍ବାନୀଶ୍ଵର ନିର୍ବାନୀଶ୍ଵର
ନାଶା ଏବଂ ମିଲି ହାତାମିଲ୍ଲାନୀଶ୍ଵର ନିର୍ବାନୀଶ୍ଵର ନିର୍ବାନୀଶ୍ଵର.

ნარსული, ცხადის, მას ასე ადვილად არ
მოსცილდებოდა და ვერც თვითონ შეძლებდა მის დავინწყებას, თუმცა ჯერ კიდევ
მყარი საბჭოური ცენტურის პირობებში
იძულებულია, მხატვრული გაბუნდოვან
ების ხერხს მიმართოს. მაგალითად, ერთ
ციკლში, სახელწოდებით „ჩრდილოეთი
ციალი“, რომელიც სხვადასხვა გამოცემას
თუ გადავხედავთ, ლექსების განსხვავებუ

გან მიუხედავად იმისა, რომ „დიად საბჭო ეთს“ ერთადერთ სამშობლოდ კარგა ხანი აძალებდნენ, გეოგრაფიის ასეთი ღრმა ცოდნაც არ ექნებოდა. არადა, მიაუჯვრა სწორედ ის მდინარეა, რომელიც ავადსას სენებელი კოლიმის ნახევარკუნძულზე მდებარედინება (პირველად ეს სახელი, ისევე რიცხვორც ბევრი სხვა ინფორმაცია რეპრენეს რებულ ქართველ მწერლებზე, რევაზ კვერა ქჩხილაძის წიგნისძიან გავიგეთ — ნ. ვ.

მხოლოდ ერთეულები იხედებოდნენ
ლადონ სულაბერიძის პოეტიკის სიღრმეების
ში და ესენი, მისდან საბედნიეროდ, იყვნენ
არაუბრალოდ პოეზიის მოყვარული ადამი
ანები, არამედ თვით სიმონ ჩიქოვანი და
ოთარ ჩხეიძე. სიმონ ჩიქოვანმა, გარდა იმ
ისა, რომ დაუდასტურა პოეტური ნიჭი
არსებობაც და შემოქმედებითი ინდივიდ
უალობაა, 1948 წელს, კრიტიკულ მომენტის

ნა. მისი სიტყვებით, აყვავებული ტყემლებისა და გამოგონილი სევდის პოეტი დიდ სულიერი და ფიზიკური ტანჯვის შემდგებება „შერჩენილი სიცოცხლის მომღერალად“ აკცია: „და უცებ, უცრად ემზარებოვრება... უცრად მოვარდა დიდი ომი და გაიტაცა ტყემლების მომღერალი, მოღერალი ალურებისა, გაიტაცა ძალიან შორსა... ატარა, აბრძოლა, ათრია, დაფენჩების ტყვეობაც მოსწია და სასჯელი განუმზდა ტყვეობისთვისა... არაფერი შეარჩინა ასევა ბალლაბი, გააძიშვლა ყინვაყიამეთი ია... განაცდევინა ძალი სიცოცხლისა და შეარჩინა სიცოცხლე... შერჩენილი სიცოცხლის მომღერლად იქცა პოეტი, პოეტი, იგი, გამოგონილი სევდისა და გამოგონების ხემაზე რომ გალობდა ყმა წვილობაში... მძაფრი ვნებები ნდომები პოეზიასა... მძაფრი ბიოგრაფიაცა ნდომებია პოეზიასა...“ (ოთარ ჩხეიძე, ლექსი ცხოვრება).

ეს ბიოგრაფიაც, ფაქტობრივად, მაშინ
დაიწყო, როდესაც ქუთაისელი მონაფე,
ლადო სულაპერიძე, კომერციული დანარ-
იცხეს და „ხალხის მტრის შვილი“ უწოდეს.
მიზეზი მამამისის პოლიტიკური ორიენტ-
აციის ცვლილება, შეიძლება ასეც ითქვას,
მაშინ არც თუ იშვიათი, დაბნეულობა გახ-
და (იყო მენშევიკი, გახდა ბოლშევიკი). ოც-
იანი წლები იდგა. უნივერსალური „სიკვდი-
ლის მანქანა“, ალბათ, ვიღაც ფუნქციონ-
ერის გახრწნილ ტვინში ჯერ კიდევ ჩანა-
ფიქრის დონეზე არსებობდა, ამიტომ დახ-
ვრეტას გადაურჩა, თუმცა პარტიიდან გა-
რიცხეს, უმუშევრად დატოვეს და კატეგო-
რიულადაც გააფირთხილეს. ბედის ეს პი-
რველი ნიშნები ჩვენ პოეტის მიერ, ცხა-
დია, ვერ იქნებოდა სათანადოდ აღქმული.
პოზიტივ გატაცებული ლადო ჯერ ქუთაი-
სის, შემდეგ კი უკვე სტუდენტობის პერი-
ოდში თბილისს ახალგაზრდა მწერლთა
თვითდამკვიდრების პროცესში ჩართული,
როგორც მისი პოეტური პირველცდები-
დან ჩანს, მომავალს ნათელ ფერებში ხე-
დავდა. რაც მთავარია, თავს მშვიდად გრ-
ძნობდა პარტიული ხელმძღვანელობა. 1937 წლის რეპრესიების ძლიერი ტალღის
შემდეგ ისინი დარწმუნებული იყვნენ, რომ
ცოცხლად დარჩენილები ერთგვარი ზარბ-
უფის ქვეშ მოათვასეს, საიდანაც სამუდა-
მოდ გამოდევნებს თავისუფლების სული.
და, აი, 38-39 წლებში მწერლათა კავშირში
გამოჩენდა ნიჭიერი ახალგაზრდობის, რბი-
ლად რომ ვთქვათ, სრულიად ალოგიკური
ჯგუფი, რომელმაც ლიტერატურისა და,
ზოგადად, მწერლობის მტვერწაყრილი,
უფრო ტაბუირებული, გაგება გაახმოვანა.
მირზა გელოვანმა, ჩვენ, როგორც თქვენ
გვიწოდებთ, მწყემსები კი არა, მწერლები
ვართ და ჩვენს მიზნებს აუცილებლად გან-
ვახორციელებთ; ლადო ასათიანმა და
კოტე ხიმშიაშვილმა თავიანთ პირად მიმო-
წერაში, მწერლობა იღუპება და უნდა გადა-
ვარჩინოთ; ალექსანდრე საჯაამ ხალხ-
თა მეგობრობის ზეობის ხანაში „სალოცა-
ვად ქართველობა მეყოფაა“, გიორგი ძიგ-
ვაშვილმა, მარაბდელების სასაფლაოზე
თავდახრილმა, „აյ საქართველოს სძინავს
გარდასულს, მის დიდ დარდებს და დიდ
უძედობას“. ეს იყო ლამის მეხსიერება-
დაკარგული, სასიკვდილოდ განწირული
კულტურის გამოცოცხლებისკენ გადადგ-
მული პირველი ნაბიჯები, ფაქტობრივად,
გაბრძოლება არა პრიმიტიულ აგიტატორ-
ად, არამედ პოეტად ყოფნის უფლებისთ-
ვის. მაგალითად, ლადო ასათიანი — მისი
ლექსები პათეტიკური ნამდვილად იყო,
არც ფორმისეული ნოვაციით გამოირჩე-
ოდა, შესაძლოა, ზედმეტად „ლამაზიც“ კი
იყო, მაგრამ არა „მკვდარი“, როგორც ერ-
თმა ლიტერატორმა უწოდა. სისხლიანი
დროის მოწოდებას მხოლოდ გონგის ხმა
შეიძლება, ჰქონდეს. სალონურ დახვენილ-
ობას იგი ნაკლებად ითვისებს. ასეთი შეფა-
სება კი კონტექსტის გაუთვალისწინებლო-
ბას უფრო ჰგავს, ვიდრე მკითხველის ეს-
თეტიკური გემოვნების გათანადროულების
თავისთავად პოზიტიურ მცდელობას.

ლადო სულაპერიძე შემთხვევითობამ
გაარიდა იმავე გზას. იგი ფრონტის იმ ხა-

ზე აღმოჩნდა, სადაც ქართველები — როგორც მირზა გელოვანი წერს ფრონტიდან გამოგზავნილ თავის ერთ-ერთ წერილში, „მჭადით დაზრდილი შავტუხა ბიჭები“ — განსაკუთრებული სიხშირით იღუპებოდნენ (დაახლოებით 100 000-მდე ქართველი ჯარისკაცი). ლადო სულაბერიძემ, როგორც ჩანს, კომუნიზმისგან თავდასხინის ფარული მუხტი მომავალში „დაწყევლილ თაობად“ წინდებული თავისი მეგობრებისგან გაიყოლა, რადგან როგორც კი მიეცა მისი გამუჯღავნების შესაძლებლობა, გერმანელთა მიერ ჩამოყალიბებულ ქართულ ლეგიონში ჩაეწერა. ისე გამოვიდა, რომ ფიზიკურად ერთმანეთს დაცილებული ამ ახალგაზრდების ბედი იდეების დონეზე მაინც გადაიკვეთა. ორი დღე ვაჟიქრობდიო ამ გადაწყვეტილების მიღებაზე — წერს იგი ამ მოვლენებიდან ორმოცდახუთი წლის შემდეგ დანერილ მოგონებებში „ცხადისიმარინა“, რომელიც 1991 წლის „მნათობის“ N7-12 დაიბეჭდა. ვერმახტის ქართული (და არა მარტო ქართული) ლეგიონი გერმანელებმა 1942 წელს შექმნეს. როგორც წიგნის — „Грузинский легион Вермахта“ — ავტორი გიორგი მამულია წერს, გერმანელებთან სამხედრო-პოლიტიკური თანამშრომლობის განახლება ბევრის მიერ აღიქმებოდა, როგორც იმავე გერმანელების მიერ 1918 წელს საქართველოს დამოუკიდებლობის გამოცხადებაზე განხული დახმარების დროს ჩამოყალიბებული ისტორიული ტრადიციის აღდგენა. დაკარგული ახლაც ამ კონტაქტით უნდა დაგვებრუნებინა. ამიტომაც იყვნენ ლეგიონის შექმნის ინიციატივორები გენერალი შალვა მალლაკელიძე, მიხეილ წულუკიძე, სოლომონ ზალდასტანიშვილი, სპირიდონ ჭავჭავაძე — სამხედროები დემოკრატიული რესპუბლიკიდან, აგრეთვე მიხაკო წერეთელი, პროფესორი მიხეილ აბეტელი და მიხეილ ნიკურაძე. ტყვედრაზარდნილი 22 წლის ლადო სულაბერიძე თავიდან ამ პოლიტიკურ სუბორდინაციაზე არ და ვერ იფიქრებდა. მას უპირატესად ფიზიკური გადარჩენის ბურებრივი სურვილი ამოძრავებდა. თუმცა, როდესაც სააგიტაციო ლექციები მოისმინა, სათანადო ბრომურებსაც გაეცნო და, რაც მთავარია, მოგვიანებით ლეგიონერთა ნაციონალური სიძოლიკით გაწყობილი ფორმა ჩაიცვა (შევრონი მარცხნა სახელოზე სამფეროვანი შინდისფერი დროშის სიმბოლიკით), თავის უზივერსიტეტებს მეგობრებით გამართული საუბრების, მათი „ურჩი“ სტრიქონების გახსენებისა და გააზრების დროც დადგა. „უსტალინო საქართველოს უნდა გამოადგეთ“ — უთხრეს. უთუოდ ამ პერსპექტივამ მიიზიდა და თავისი იმუშამინდელი მდგომარეობა სწორად გაააზრებინა:

„...გერმანული არმია „დღიტქშლანდ ი ელარეს“ მღეროდა ევროპისა და რუსეთის გზებზე და, რა თქმა უნდა, ჩვენ ამ იდეალით და სურვილებით ვერ აღვიტურვებით. ვერ გავყვებოდით გერმანელებს ინტერნაციულ კონფლიქტის გამდე... ერთიან სული გვქონდა, როდის ვალნერი კავკასიონიამდე, რომ მერე ვგანწირულად გვეპრძოლა. იქნება ამიტობაც ამ და კიდევ ერთიან პოპულარული სიმღერის „ლილი მარლენის“ ნაცენტი ჩვენი ბატალიონისთვის პირველი რესპუბლიკის გვარდიის ჰიმნი აკორჩით....“

„ცხადისიზმარიანაში“ ჩანს, რომ ლადო სულაბერიძე, როგორც სამთო ბატალიონ „ბერგმანის“ წევრი, უშუალოდ არ იყო ჩართული საომარ მოქმედებებში, თუმცა გერმანულის მცირედი ცოდნითაც კი, საზორიანი და დისციპლინირებული ჯერ ოცმეტ-

კიდევ უფრო მოსა და თოტულ გ ია
უყენებენ მას იმის დამთავრებიდან და
ოდე წელიწადში, მას შემდეგ, რაც და
ლაპას გერმანიულებითან ნამსახურობის
ბაკა, შეუცერხებლად გავლის სპეცი
ურ საფილტრაციო ბანაკს და თბილი
საკუთარ ოჯახში, დაბრუნდება. აქ კი
იცნობენ, კომუნისტურ სიცხიზღვეს გა
ჩენენ და სადაც ჯერ არ ას შეატყობინებ
დაკავებისთანავე სტამბაშივე ოპერარ
ლად ანადგურებენ მის პირველ პოე
კრებულს „ყირიმის დამეტები“ (საჯარო
ლიონეკისა და ბათუმელი პოეტის, ძ

ვარშანიძის, დახმარებით გადარჩება
ად-ორი ეგზემპლარი). შემდეგაა ეს ოთხ
ვიანი დაკითხვები, დამსტურებთან პირ
ირ შეხვედრა, ოჯახის წერტილების პეტიცია
და 25-წლიანი „განაჩენი“ შაგადანთან
ლიმის ნახევარუნძულზე გადასახლევ-

კოლიძა საყოველთაოდ ცხობილი ს
ლია და გარდა მინუს 52-60 გრადუს
სიცივისა, საპტოთა საპატიმროებით
შრომა-გასწორებითა ბანაკებითა ცნ
ლი. ლადო სულაბერიძე ამ ღვთისა დ
ცისგან დავიწყებულ მხარეს ასე ახას
ებს: „ეპლიმა: საქართველოდან ოცი
სი ვერსით დაშორებული, უკიდურესა
დილოეთი. გაყინული გვერდი დედამი
ორი თვე ზაფხულია, დანარჩენი ზა
რი“. იქაურ საპატიმროებს ლაგერი ა
ვუნიდოთ, სიტყვა ბანაკი მეტისმეტა

სწრაფად, ორ-სამ დღე-ღამეში). და მა „კოლიმის კოლუმბად“ ვარლამ აშალარ მოიხსენიებენ, მის „კოლომურ მოთხრობს“ კი „ჯოვალობეთის გზამკვლევსაც“ უჩემენ (სოლუენიცინი ძლიერიაო რიტო კულად, შალამოვი — მხატვრულად. იტრი ბიკოვი)... შალამოვა კოლიმის ნაკების ბინადართა მოწმის მისია იტრი თა და თავისი სამწერლო ნიჭი სამყაროულის უმწვავესი პათოსის გამოვას მოახმარა. მისი „კოლომური მოთხრობები“, დიმიტრი ბიკოვის შეფასებით ლენს თვითუარმყოფელს, მომავალი უამიანო საუკუნის ნინას სამეტყველს გორია თუნდაც მისი შენიშვნა, გამოოლი სოლუენიცინის „ივან დენისოვიჩის სახებ: იქ ერთგან კატა და ეს ტყუილი კატა და ლაგერი? ასეც რომ ყოფილ მაშინვე შეჭამდნენ).
მალხაზ ხარბედიას მეტად საყუდებო ნაშრომში „ნიგნის ნადიმები“ ასეთი თავი „შალამოვი და შიმშილი“. შილის ყოვლისდამთრგუნველი ძალა ჰამსუნის „შიმშილთან“ ალუზიას მხოლოდ ნანილობრივ თუ გამოიწვევს, რადგან სუნის გმირის პიროვნული და შემოქმედითი თავისუფლებისთვის ბრძოლა, როლიც თავისთავადი მიძიებული ცხოვრების პირობებზე გადის — შიმშილი ყველგან მშილია — მაინც ვერ შეედრება რეული მიერ თავს სმოხვეულ შეზღუდვებს, ივიღულობის გასრესას დაქვემდებარებულ კოლექტიურ მიზანმიმართულ ქმედება.
მოთხრობაში „გასკა დენისოვი, ღია ბის გამტაცებელი“ (უფრო გოჭების — აღნერილია შიმშილისგან გაშმაგების, ელურების შავ-ბრენი ისტორია, როდენდონებისგან თავდალნეული მშერი პარა, ილიის ქეშ ამოჩილი გაყინვებით, წითელი კუთხის თოახში (ესე ნიშანდობლივა! ნ.კ.) ჩაიკეტება და გასხლიანებული კბილებით გაქვავებულ ხორცს ღრღნის. თსიც მანდელშტამი კი რმე უფრო ადრე მომკვდარა, ვიდრე ეს ბიოგრაფიაშია მითითებული. შალაზ ჰყვება, რომ გარდაცვლილის ულუფას ერი პატიმრები მანამ იღებდნენ, სანამ ავადმყოფად გასაღება შეძლეს. ეს კი ლოდ იო დღეს გაგრძელდა და ეს თხრობა, სახელწოდებით „შერი-ბრენ ალბათ, ყველაზე „ვეეტარიანული“ გშორის, რომელზედაც „ნიგნის ნადიმები ავტორი ყურადღებას ამახვილებს. კერთ მოთხრობაში, სახელწოდებით „ნის ღამები“, იგი ყურადღებას ამახვილებადამიანისთვის დიდი სიამოვნების მოქებელ შალამოვის მიერ ჩამოთვლილ ძირითად გრძნობაზე. ესაა შიმშილის მლა, სქესობრივი ინსტიტუტის დაკმაყოლება, შარდვა და დეფიკცია. კლასიფიცია „უტოპიის“ ავტორს, ტომას მორს, თვნის, მათი რეალიზების კოლიმურ შუალებების აღნერა — შალამოვს, რომ იც ამ ჩამონათვალს, ლექსის მოთხოვლების სახით, კიდევ ერთ ელემენტს ტებს. წარმოიდგინეთ ლაგერის სავაჭრო მოუწყობელ ქირურგიულ გაფილებაში შეკრებილი რამდენიმე ფეხშერი — დისტროფიკი „ზეე“, რომლები ერთმანეთს ჭუჭყიან ბლოკნოტში ჩაიღიან. ასე და დამატებით გამოიყენები სებს უზიარებენ. „ათენის ღამებს“ და გავსებული პორტის ეს რამდენიმე ც (უფრო სწორად ღამის თითო საათი) ბაა შიმშილით გათანგული, თუმცა გუდელი ცხოვრებისგან მთლიანად გამომვნებლი ადამიანებისთვის. სწორედ გულისხმობს მალხაზ ხარბედიას ეს კოტარიც: „მესმის, ვიღაცისითვის შეიძლება უადგილო იყოს ამ მეხუთე ელემენტის ატება, მაგრამ ვინც შალამოვის პროგრამი იცნება და იცნობს, დამეთანხმება, რომ ფერი ამაღლებული ან უხერხული ან ები ამაში არაა. ბევრს გამოგიცდიათ ბათ თავი ასეთ სიტუაციაში, როცა შიმშილი და გაჭირვებაში, მიტოვებულობაში მნარეში და გაურკეველობაში საყვარელების სტრიქონს იმეორებთ, ხშირად უბრალოდ რიტმის დაჭერას ცდილობასა საკუთარი თავის, არსებობის აწყობასა ლაგებას მარცვლებად და მახვილება (მალხაზ ხარბედია, ნიგნის ნადიმები).
ლადონ სულაბერიძე სწორედ ამ მეხები ელემენტითა შეპყრობილი. სულიერება პირნმინდად დაცლილ ლაგერულ მეთში, სადაც ადამიანები „გაარარავ სოვის“ (რევაზ ინანიშვილი) არიან განულნი, გალნევა-გადარჩენას ლექსით (

ლობს. აი, ამონანერი „ცხადსიზმარიანადან“: „დაუძლურებული ვიყავი, სისხლდაცლილი, ტყავი და ძვალი, მაგრამ ნარზე ნამონღლილი ოვალებს რომ მიგებუჭავდი, გვერდით მწოლიარე ამხანაგების საუბრებს მოგრძელდებოდი. ოვალმისუჯულს აღარ მესმოდა მათი ვაიმე და უიმე. ჩემს ფიქრს მივწოდებოდი და ლექსი, ლექსი გაიელვებდა გონებაში. წავეტანებოდი, რითმა თავისით მოდიოდა, ძალდაუტანებლად, მოულოდნელად...“ მოგვანებით გადასასალებიდან დაბრუნებული, საკუთარ თავში უკეთ გარკვეული, მეტი დამაჯერებლით ამჟღავნებს თავის ლიტერატურული ფანატიზმს და მას გადარჩენის უმთავრეს მიზეზადაც კი მიიჩნევს. „ლექსის სამსალით მონამღლული თუ მოჯადოებული ვიყავი და სხვა ყველაფერი ჩემთვის უმნიშვნელო გამოდგა. ომში და კატორლებში გამოკვეთილად გამომჟღვნდა, ლექსი რომ იყო ჩემთვის მთავარი მამოძრავებელი ძალა. სისხლიანი ბრძოლებისა და შიმშილ-სიცივის ორომტრიალში თითქოს უნდა გამოგცლოდა კაცს ეს ძალა, მაგრამ არა, ჩემში პირიქით მოხდა, სიკვდილის პირისპირ ეს ერთადერთი უინი მაძალებულოვანებდა...“ „ნეტავ რა არის ლექსი?! ჭირთა მენავევრეა კაცის?“ — ეს რიტორიკული კითხვაც მაშინ გაუჩნდა. უთუოდ ამიტომ „ცხადიზმარიანასა“ თუ იმ პერიოდის სასაულებრივად გადარჩენილ ლექსებში შიმშილის ყოვლად მართორგუნველ ძალას შეგნებულად უპირისპირებს „ლექსის პურად“ წოდებულ თვითთერაპიის სეანსს, რომელშიც როგორც ტყვეთა, ისე გადასახლებულთა ლაგერებში მსგავსი ფუფუნებისთვის მუდმივად შეუფერებელ დროს ჩაყვინიავს ხოლმე. „ახლა მხოლოდ ლექსი მშველის, / ლექსის პური მკეპავს. / შეახტება სტრიქონს შევლი, / დედის ზღაპარს ჰყება... შემაჭერება ხოლცი სენით, / თოვლს შევრჩები ძვლებად. / და შვლიანი ლექსის ცხენი / მიჰკრის, აღარ კვდება...“ ასე რომ, შალამოვის თვითუარყოფას აქ ლექსით თვითდამკვიდრება ენაცვლება. მიძღვნაში, რომელიც კოლიმელ თანამოძმეს უორეს ცინდაქს ეკუთვნის (უორეს-გიორგი ცინდაქი ოტია პაჭკორიასთან და სხვებთან ერთად „საჯარო ბიბლიოთეკის საზოგადოების“ სახელით ცნობილი ანტისაბჭოთა ჯგუფის წევრი იყო და „სასჯელს“ კოლიმაში იხდიდა) ლექსს გადაყოლილი კაცის ფიქრებია ირონიზებული: „— უორეს, სიცხე მწვავს, მთანგავს და ვთვვდები. / — რო იცოცხლებ, მევარ ამის თვვდები. / — ამ ყინულებს, უორეს, შევეყინები, / ისე როგორც კატორლები წინები. — ვინვები, მაშ, რად ამბობ, ვინვო?! / — აალდები, როგორც ფიჭვის ხინვო. — უორეს, ვძოდავ?! / — ჩვენ სულ ვძოდავთ... ვძოდავდით... / ადამიდან ამ უმნეო მოდგმამდი. / — უორეს, მბუუავს, მახრიბის ტემპერატურა. / — ვიცი, ვიცი, რა მელაც ხარ, რა ტურაც. / — ანდერძს დავწერ, მომე ერთი ფურცელი! / რა სამეფო გრჩება, მცირედი თუ ვრცელი?! / რა სიმდიდრე გაქვს საერთო ან ერძო?! / — არა, ლექსი მინდა, რო განაზრირი, / ბოლო სუნთქვა, გულის ბოლო ფართქალი. / — მაშინ, აპა, ფურცელიც და ფანქარიც. „ ეს ლექსი ავტორის მიერ კომპოზიციად წოდებული პოემიდანაა, სახელწოდებით „კალიმა“, რომელიც მხოლოდ 1992 წელს გამოქვეყნდა უურნალ „განთიადში“. მრავალფრონანი მხატვრული ფორმით, საყურადღებო რემინისცენციებით და ენის ენერგიის გამოწვევით „კალიმა“ წარმოგვიდგენს ლადონ სულაბერიძის როგორც პოეტურ, ისე ადამიანურ პროფილს. მცირე ციმბირიადა, რომლშია მარცვლებიც ყველა მის კრებულშია გაძნეული (დაწყებული 1957 წლის გამოცემით — „ნარწერები კლდეზე“), აյ განმსაზღვრელ თემადაა აკუმულირებული. თემად, რომელიც შესაძლოა, დიდი სულიერი მობილიზების შედეგად, ქართველთათვის დამახასიათებელი უნიადაგო, ანუ როგორც გრიგოლ რობაქიძე იტყვიდა, უმიზეზო პატიმიზმითაც იყოს გამოწვეული. ეს თვისება კი ხშირად სიმახინჯის მშვენიერებად გადაქცევის დონკიბოტურ სურგილსაც წააგავს. უთუოდ აქედან იღებს სათავეს მიმართვაც ციმბირისადმი, რომელიც თავის დროზე ოთარჩენიდებ შეამჩნია და პოტეს სიტყვასა და აზრთან „გაშინაურების“ სერიოზული იმპულსად ჩაუთვალა: „ციმბირო, შენც ხარ დედამინა, / შენც გინდა კაცი“.

ଭାବାବାବୁଲା

1948 წელს, ჯერ კიდევ ჩე-ას შინაგან ციხეში, რომელიც რუსთაველის პროსპექტიდან რამდენიმე ათეულ მეტრში მდებარეობდა (ახალგაზრდა პოეტები რუსთაველის ჭადრებთან რომ ვიკრიბებოდით, რას ვიფიქრებდი, თუ ასე აღლოს ასეთი სატანჯველი იყო — ლადონ სულაბერიძე), ლადონ სულაბერიძე გაიხსენებს მიხეილ ჯავახიშვილსა და ტიციან ტაბიძეს, რომლებიც აქ იყვნენ გამოკეტილნი, თან მოჰყავს გივი კობახიძის უმდიმესი მოგონება მიხეილ ჯავახიშვილის იქ გატარებულ უკანასკნელ დღეზე. ორთაჭალის ციხეში კი საკინას კარის ჩარჩოზე აღმარჩენს ნარწერას „ლ. გოთუა“ (ეს ლევან გოთუა, როგორც თვითონ უნდღებს, „მრავალტანჯული კლდეკაცი ჩვენი... ისტორიის უბადლო მხატვარი, თანამედროვეობის დიდი მწერალი“), რაც თანდათან არწმუნებს იმაში, რომ შემთხვევით არ მიჰყება მათ ნაკალევს. ამიტომაც ახალგაზრდული მაქსიმალიზმით იქვე, მაგიდაზე, ლურსმნით ასეთ სტრიქონებს ამოკანრავს: „ო, საქართველო, / მე რა ვიცოდი, / თუ სიყვარული ლალატს ნიშნავდა...“ პოემა „კალიმაში“ კი საბოლოოდ იყვეთება მეტყვიდრეობითობის ის ნიშნები, რომელიც საკუთარი ქვეყნის ბედისმაძიებლობას და ამ მიზანს გადაეცებულ ნინაპართა სახელებს უკავშირდება. ლადონ სულაბერიძე ყოველი მათგანის სატანჯველის თანაზიარია და მათ სულებთან საკუთარ თავს კოლიმის მყარინი ჰეიზაუსის ფონზე ომონიმური რითმის „ქართველები — ქართველები“ აქცენტირებით აიგივებს. თავიდან რატომდაც ჭოლა ლომთათიძე აგონდება. მწერლად დაბადებული, უტოპიურ სოციალისტურ იდეებს შენირული კაცი, ცომბირში ჩაკარგული, სიკვდილამდე რუსეთის ციხეებში გამოკეტილი და სანიმუშოდ დასჯილი. თუმცა განსაკუთრებულ მეკვლე და ქომაგი მაინც ისაა, გურამიშვილის ლანდი. „დავითიანთან“ ინტონაციური სახლოვა არა მხოლოდ ფორმისეულ დამთხვევებს ეყრდნობა, არამედ არსობრივს. „უცხო ზუბოვებს შეაჭინა შენი ნაკვთები. / მე კალიმაში ყონულის ლოდებს ვაკვდები“; „გიხსნა ლექსთ „დავითიანმა“, / ოხვრამ რითმით დაიფრთიანა. / უცხოებში დაგინთა რა, / ა, იმ ცეცხლმა დღემდე იარა“; „ვაპმე, ჩემო ძეო, ძეო, / არ დაგიშრეს მანდ სარძეო. / გაიზარდე, გაიხარე / და იმღერე ეო მეო... / უძეობა კლავდა დავითს, / მე უფალი მექმანა მწერო. / შენითა ვარ გამძლეო... ვაპმე ნუთისოფლის ჯარავ! / ვაპმე, ჩემო ძეო, ძეო!“. კიდევ ერთი განსხვავება, რომელიც განსაკუთრებით აზუხებს: „გურამიშვილი მონახეს, მარა / სულაბერიძეს ვინდა მოძებნის?!“.

ზონებში საკუმარის ზე მეტად გაშინაურებული ჭაბუა ამირეჯიბი. რაკი დარწმუნებული იყო, რომ ვერდაბრუნდებოდა, ნაწერის გადარჩენაც სერიოზულ საზრუნავად ექცა. მოახერხა კიდევ ცემენტის ყუთების ქაღალდებისგან სახელდახელოდ ორი პატარა ნიგბაის შეკვრა და შეესტაბა, შემდევ კი მათი გათავისუფლებული პატიმრის ხელთამანებში ჩამალვა და სამშვიდობო ზეგავზავნა. არანაკლები სიხარული, შეიძლება ითქვას, ბერძნიერებაც კი, განაცდევინა 1943 წელს ბერლინში გამოსვალ ქართულ გაზეთ „საქორთველოში“ რამდენიმდევ ქსის ჟუბლიკაციაში და მათზე გრიგოლ რობაქიძის გამოხმაურებამ. ეს ამბები „ცხადსიშმარიანაში“ განსაკუთრებული ემოციურობითაა მოთხოვილი.

სწორედ 1943 წელს, ბატალიონისთვის საშობაო-სახალნლო საჩუქრების ჩამოტანა რომ უზრუნველყო, ლადო სულაბერ

www.junggesellin-jugend.de

დაერქეარებინა, საღი თვალი გამოითხარ იმ იმედით, რომ დაინგალიდებულს ზონა დან გაშვებას არ გაუჯანჯლებდნენ. ყველ განთავისუფლების მოლოდინს შეუპყრი ამ ორს კი, ლადო სულაბერიძესა და ადროის სთვის, მოშორებით, სხვა ლაგერი საავადმყოფოში გადაყვანილ ჭაბუა ამირ ჯინს, ლიტერატურულ ბერსაჟებტივებზე წერილობითი საუბრები გაუმართავთ. რა და ვის არ იყენებენ ამ უცნაური წერილების ადრესატამდე მისატანად. ერთ საჭირო ჩერებას კი მოიწერს ჭაბუა: „იმუშავე, ადმიანო, ლექსზე იმუშავე... შენ გინძა, ლექსზე არ იმუშავო და „თბილისში იეთიმ-გურჯამაც არ გაჯობოს“. შენ ხომ თვითონ იცმიშვენივრად, რომ თუ არ იმუშავე ლექსზე სრულყოფილ პოეზიას ვერ შეემნი. ლაპარაკია სრულყოფილ პოეზიაზე და არა კარ პოეზიაზე“. რჩევა მართლაც მნიშვნელოვანია. ამის დანახვა ლადოს არ გაუჭირდა.

(„ნაფოტი“), „კაცისა და ხის ბალადა“, „ნიქა-
რას ბიჭის სავარცხლის ტყეში“, „ნისლი“
და სხვა): „ნუხელ ჩიტებს ტყეში ვახლდი, /
არ ეძინათ ლამით ჩიტებს. / ზოგი სტვენდა,
/ ზოგი კვენსდა, / ნისკარტებით მთვარე
ჩვრიტეს. / იქ ჩემს მეტი არვინ იყო, / მე
გალობის ცეცხლში ვიდეექ. / თავს იქლავდ-
ნენ... / სტვენდნენ... / კვენსდნენ... / არ ეძი-
ნათ ლამით ჩიტებს“; „ნიქარას ბიჭის სავა-
რცხლის ტყეში, / მე ვებრძივი ტახს და მიჰ-
ქრის წიქარა. / ტახსა ზედ მკერდზე ჩამო-
მკრა ეშვი, / მაგრამ შიგ გულში ვერ გამიყა-
რა. / მიჰქრის წიქარა...“

ასე გაგრძელდებოდა, ალბათ, საძჭო-
თა პიეტრა კონორტას მიერთებულის თუ
მიტმასნილის ცხოვრება მწერალთა სხდო-
მებსა და დისპუტებზე პასიური დასწრე-
ბით, პიონერთა სასახლეში ან რომელიმე
სკოლაში მიწვევის დროს მოსწავლეების
მიერ საპატიო სტუმრებისთვის წითელი ყე-



ნონა კუპრეიშვილი

საგა საგაფოთა პოეტი

ეს აზერბაიჯანელ ლეგიონერთან ერთად
ბერლინში გააგზავნეს. ფრიდრიხსტრასე-
ზე იგი მართლაც მიაგნებს გაზეთ „საქარ-
თველოს“ რედაქტორას, სადაც ქუთასი-თბი-
ლისიდან მისთვის კარგად ნაცნობი ჟურ-
ნალისტები ლეო ბუროძე და მიხეილ მამ-
ულაშვილი (გაზეთის რედაქტორის მოად-
გილე) დახვდებიან. რედაქტორი, რომე-
ლსაც აქამდე გიორგი მადაურიძის სახელ-
ით შორიდან იცნობდა, გენერალ შალვა მა-
ლლაკელიძის შვილი, გაიომზალლაკელიძე
ალმოწინდება. მას შემდეგ, რაც ახალ ლექ-
სებს მიიღებდნ, ძველი ნაცნობები ლადო
შინაურულად აქვთ, რედაქტორის მეორე ო-
ახში, ჰიტლერებზე სახელდახელოდ ლექსი
დაწერას სთხოვენ: რაც გინდა იყოს, ქარ-
თული ლეგიონის მფარველია და ვასიამო-
ვნოთით. სანაცნობლად დამრჩა ეს დათმობაო-
ნერს, სულ იმის შიში მქონდა, ამ მიძღვ-
ნისთვის არავის მიეგნორ. სამაგიეროდ
70-იან წლებში სხვა მიგნება ელოდა, მოუ-
ლოდნელი და აღმაფრთვანებელი. ეს იყო
მწერალთა სახლში პოეტ შუკო ჯიქიასთა
შეხვედრა, რომელიც რევაზ კვერენტხილ-
აძის წიგნ „ნამების გზაშიცაა“ აღწერილი
ხომ არ იციოთ, იმას უკითხავს, ვინ დგას
„ამურის“ ფსევდონიმის უკან, რომელიც
ემიგრანტულ გაზეთ „საქართველოში“ ომ-
ის დროს თავის ლექსებს ბეჭდავდათ. მეო—
— ამას, საბჭოური მარწუხების ოდნავ მო-
შვებით გულმიცემულს, უპასუხია. „ამ ლე-
ქსების ფოტოპირები კი მოვიპოვე, მაგრა ა-
ხლა გრიგოლ რობაქიძის იმ წერილს უნდა
მივაგნო, „ნაყაროს თვალი“ რომ ჰქვია და-
ჩერმზეცაა საუბარით“ — ამასაც „ცხადისი
ზმარიანაში“ წერს.

ଶେଲାଦୀର୍ଷିର ଗାରଦାପ୍ରତାଳେହିଟିଲୁ ଶେମଦେଗ କରିଲିମିଦାନ ଶ୍ଵାସ ପିମିଦିରଶି, ତାଠିଶେତ-ଲ୍ଲେନାରୁ
ମାଗିସିତିରାଳିଥ୍ରେ, ଏକତ୍ରିରୂପିତିବିଶ୍ଵାସିତିରେ ଗାରଦାପ୍ରତାଳେହିଟିଲୁ ଶେମଦେଗ
ନେବେନ୍. ଶ୍ଵାସ ପିମିଦିରଶିଟିଲୁ, ନିର୍ମ୍ଭେଦିତ ଫରନଶି ଗାରଦାପ୍ରତାଳେହିଟିଲୁ
ନେବେଲିଲୁ ମନ୍ଦିରିଦେଖିବା ଗାରଦାପ୍ରତାଳେହିଟିଲୁ ମନ୍ଦିରିଦେଖିବା
ଏହି, ଉଚ୍ଚତରିମା କ୍ଷମିତାରମା, ଏହି ପ୍ରତିବନ୍ଧିତାରମା

ბოდა. აი, შესრულება კა, როგორც ჩან
ძნელი აღმოჩნდა: „ვაი, ჩემნაირ მელექი!
ეს, / ბერვით ვკიდვარ ბძკარებზე“ — ასგ
თა მისი ეს თვითშეიღიასება.

„კულტარიკული მეცნიერებები და სუსტიტუტუტული კარგი და დენორინი შემოლეონდა. ჩვენთან კი და დენორინი საათობით და მყრალ „ნარინჯის ვანს“ სვამდა...“. ვინაიდნან განცდილ-გამოტანაზულზე, ფაქტობრივად, ვერავისთვის საუბრობდა (გამონაკლისი უსულოდ რევამარგიანი იყო), ერთგვარ კომპენსირება ხეებთან და ჩიტებებთან ახდენდა. ლადონ სულაბერიძის კრებულებში „მედ ქცეულ ხელი და „ვაჟას პეშვით გაზრდილ ჩიტებს“ რონაანყდები, ძალაუნებურად ნიკო სამადაც ვილის თავისებური პანთეიზმი გახსენდა. მით უფრო მაშინ, როდესაც მეტაფიზიკური განვითარება-გაპიროვნების სხვადასხვა ნიუანსს აღმოაჩენ, როთაც გამოიჩინევა კიდევ კრიტიკო „შორიულო სხივია“ – 1988 წლის

ლსახევევით შემკობით, რაც საბოლოოდ საძმე მყუდრო კაფეში რევაზ მარგიანის-თვის გამხელილი ფიქრებით სრულდებოდა, რომ არა ეროვნული მოძრაობის გააქტიურება. „ცხადსიზმარიანაში“ ეს ხმა გამოკეთილად ისმისა: „სამფეროვან დროშას ვხედავ და არ მჯერაო“, ის დრო დამდგარა, ჩემს „საყვარელ ჭაბუკ აჩრდილებს“ სიყვარულში ხმამაღლა გამოვუტყდეო (1988-1990 წლებში გიორგი ძიგვაშვილის ლექსების პირველი პუბლიკაციები და მოგვიანებით, 1991 წელს, კი გამოსაცემად მისი პირველი პოეტური კრებულის მომზადება — ნ.კ.), საკუთარი ვალი კი იმითაც მოვიხადო, იმ ტანჯვა-წვალებაზე მოვუთხრო ჩემს მყითხველს, რაც გამოვიარე და რასაც სასნაულებრივად გადავურჩიო. ეს უნდა იცოდნენ, რათა არავინ გაბედოს მს-გავს წარსულზე წოსტალგიორებაო.

ლადონ სულაბერიძე 1993 წლს გულის
შეტევით გარდაიცვალა. იმ დღეს სოხუმი
დაეცა. იცოდა თუ არა მან ამის შესახებ,
უცნობია. სინაზული კი, რომელიც ყელა
პოეტს, მით უფრო ასეთი ბიოგრაფიის მქო-
ნეს, შეიძლება ჰქონოდა, ამ სტრიქონებში
აისახა: „ლექსები დამრჩა დაუნერელი, /
ახორიბა ამრჩა უახორობა...“

— საგანგებო მადლობა უნდა გადავუხა-
დო პოეტის შვილიშვილს, ლადო სულაბ-
ერიძეს, რომელმაც მოგონებების წიგნის,
„ცხადისზმარინას“, სრული ელვერსია
მომანოდა. და კიდევ: წერილზე მუშაობის
დროს ვნახე რუსი უურნალისტების მიერ
ახლახან მომზადებული დოკუმენტური
ფილმი „კოლიმა — ჩვენი მისის სამობა-
ლო“. თურმე ერსატ ნეიზვესტნიმ მის მის-
ადგომებთან ეგრეთ წოდებული გლოვის
სტელა დადგა წარწერით: კოლიმის გულა-
გი 20 000 000 ადამიანმა გაიარა, დაიღუპა
2 000 000 ადამიანი, რომელიც საგანგებოდ
წაუშლიათ და ზედ წითელი სალებავით მი-
აწერათ: **Сталин жив!**

ლიტერატურული განვითარების მუზეუმი

საქართველოს კულტურის,
სპორტისა და ახალგაზრდობის სამინისტრო
საქართველოს მთავრობა

რედაქტორი ირაკლი ჯავახაძე
რედაქტორის მოადგილე უჩა შერაზადიშვილი
ქურნალისტი თამარ ჟურული

მობ. ტელ.: (577)742277; (599)269852; e-mail: litgazeti@yahoo.com

ISSN 2346-7940

